# საორბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 9 სექტემბერი 2008 №207 (3431) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## უკრაინას გლეხმაც უკბინა: თქვენ ისინი არ ხართ, მსაჯებს რომ ყიდულობთ?!



# ჩემს წამოსვლას ნუ გამოეკიდებით

## მალხაზ ასათიანი ამბობს იმას, რაც იყო



მალხაზ ასათიანის საქართველოს ეროვნული ნაკრებიდან წამოსვლამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საქართველოში — ზოგმა რა კუდი გამოაბა ამ ამბავს და ზოგმაც რა... ერთი კი ფაქტია: ჩვენი ეროვნული გუნდი ახლა უდინეშია და იტალიასთან ხვალინდელი მატჩისთვის ემზადება, ასათიანი კი უკვე თავის ახალ გუნდს, კიევის „დინამოს" შეუერთდა. გუშინ მალხაზს კიევში დავუკავშირდით და ბოლო დღეებში მომხდარ ამბებზე ვესაუბრეთ...

**— რატომ წამოხვედი საქართველოს ნაკრებიდან?**

— პირველ რიგში, იმას ვიტყვი, რომ ეს არ ყოფილა წამოსვლა. მე ამას თხოვნას დავარქმევდი. ირლანდიასთან თამაშის მერე ვესაუბრე მწვრთნელს, ფედერაციის პრეზიდენტს და ვთხოვე, თუ იტალიაში თამაშის შანსი არ მექნებოდა, ტყუილად სკამზე ჯდომას, მერჩივნა, ჩემს ახალ გუნდში ჩამოვსულიყავი და აქ მევარჯიშა. მე არც პრეტენზია წამიყენებია ვინმესთვის და არც საწყენად მითქვამს რამე. ეს იყო თხოვნა, რომელსაც პრეზიდენტიც და მწვრთნელიც გაგებით შეხვდნენ და გამათავისუფლეს. მე რომ ოდნავ მაინც შემეტყო სიტუაციისთვის, რომ ნაკრებს ვჭირდებოდი, იქიდან ფეხს არ მოვიცვლიდი. არც მწვრთნელს უთქვამს მსგავსი რამ. ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მითხრა, წადიო და მეც წამოვედი.

**— ანუ გაბრაზება ან რამე ამგვარი არ ყოფილა?**

— არავითარი გაბრაზება და წყენა! არ მესმის, რატომ მოჰყვა ამ ამბავს ასეთი გაგრძელება. კი, მართალია, გამიკვირდა, ირლანდიასთან მატჩში ძირითადში რომ ვერ მოვხვდი, მაგრამ ამის გამო სიტყვა არ მითქვამს. ფეხბურთში ასეთი რამ ხდება და ეს რომ მაღიზიანებდეს, ფეხბურთს ვერც ვითამაშებდი. უკმაყოფილების გამოხატვა საერთოდ არ მიფიქრია. ეს სისულელეა. კუპერს სამჯერ თუ ოთხჯერ გავუმეორე, რომ არავითარ შემთხვევაში არ ეფიქრა ასეთ რამეზე. მე მას ადამიანურად ვთხოვე და პასუხიც ასეთი მივიღე — პრობლემა არ არისო. პირიქით, ისიც რომ ეგრძნობინებინა, რომ მე ნაკრებში უნდა დავრჩენილიყავი, მაშინვე დავთანხმდებოდი და დავრჩებოდი. მაგრამ იქ აშკარად იგრძნობოდა, რომ ამ ეტაპზე გუნდს არ ვჭირდებოდი და დროის გაცდენის ნაცვლად მივედი და ვთხოვე.

**— გადაწყდა, რომ იტალიასთან ზურაბ ხიზანიშვილი ვერ ითამაშებს. კუპერთან მისვლამდე თუ იცოდი, რომ ასეთი საშიშროება იყო?**

— არა და ეს ამბავი ძალიან მეწყინა. ზურა გუნდისთვის დიდი ძალაა. მე ის ირლანდიასთან თამაშში კი შევცვალე, მაგრამ, როგორც ითქვა, კუპერმა ზურა ყვითელ ბარათს მოარიდა და ამიტომ გააკეთა ეს ცვლილება. ანუ ტრავმის არაფერი ვიცოდი. თამაშის მერე ზურას ყინულებიც ედო მუხლზე, მაგრამ ასეთი სერიოზული თუ იქნებოდა ტრავმა, თავადაც არ ეგონა. თავის მართლება გამომდის, მაგრამ ყველას ვთხოვ, რომ ამ ამბავს ნაკრებიდან ჩემ წამოსვლას ნუ დაარქმევენ. საქართველოს ნაკრებში თამაშზე უარი არასოდეს მითქვამს და არც მომავალში ვიტყვი, პირიქით, ყოველთვის მიხარია ნაკრებში ჩამოსვლა. უბრალოდ, ამ ეტაპზე მე ვერ დავინახე ჩემი საჭიროება და ვარჩიე კიევში წამოსვლა. აქ ხომ სამი თვით ვარ გადმოსული და დრო რომ არ დამეკარგა, ჩამოვედი. მგონი, ნაკრების ხელმძღვანელობასაც უნდა უხაროდეს, მალე თუ აღვიდგენ ფორმას.

**— მოკლედ, კონფლიქტი უნდა გამოვრიცხოთ?**

— არავითარი კონფლიქტი არ ყოფილა და დარწმუნებული ვარ, ამას ნაკრების თავკაცობაც იტყვის. კუპერს დეტალურად ავუხსენი, რომ გაბრაზებული არ ვიყავი და ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ თხოვნა. მასაც საერთოდ არ უყოყმანია, მითხრა, გათავისუფლებო. მე რომ შემეტყო, ჩემი გამოშვება ოდნავ მაინც გაუფუჭებდა საქმეს, ან ეს როგორმე ეგრძნობინებინა, თავადვე ვეტყოდი, ვრჩები-თქო. მაგრამ ასეთი რამ არ ყოფილა. ყველაფერი ურთიერთშეთანხმებით მოხდა. ახლა აქ მოვემზადები, მალე ჩემპიონთა ლიგაც დაგვეწყება და ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად დიდი ბრძოლა მელის. მოვემზადები და როცა ნაკრებში გამომიძახებენ, უპრობლემოდ ჩამოვალ. ეს სალაპარაკოდაც არ ღირს...

**კახა ზალამბერიძე**

# ხიზანიშვილის იტალია გამოირიცხა



# ევრო 2009-ის შესარჩევი ეტაპი

მინსკი. 9 სექტემბერი. 16 საათი. ტრაქტორი

## საქართველო U21 — პოლონეთი U21

მსაჯები: ა. ამირხანიანი, ს. ბალიანი, ზ. ოვანესიანი, ა. ჩალარიანი (ყველა სომხეთი); დამკვირვებელი: ს. დოდი (ისრაელი); დელეგატი: ი. ბურგნონი (ლუქსემბურგი)

# ყველამ თავის სკამს მოუაროს!

**გასული** კვირა ქართული ფეხბურთის გულშემატკივართათვის ძალიან ცუდი იყო — ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა რუს თანატოლებთან ამაზრზენი ფეხბურთი ითამაშა და 0:4 განადგურდა. ეროვნულმა ნაკრებმა კი ახალი შესარჩევი ციკლიც მარცხით დაიწყო. არგენტინელი მწვრთნელის, ექტორ რაულ კუპერის ოფიციალური დებიუტი ირლანდიელებთან 1:2 წაგებით დამთავრდა.

დღეს მინსკის „ტრაქტორზე" კიდევ ერთხელ ითამაშებენ ხორვატი პეტარ სეგრტის გაწვრთნილი ქართველი ახალგაზრდულები — ევროშესარჩევის ბოლო ტურში მათი მეტოქე პოლონეთია და თუ ისეთივე საზიზღარ თამაშს აჩვენებენ, როგორც ეს რამდენიმე დღის წინ რუსეთთან იყო, მაშინ სეგრტმა ჩემოდანი ჩაალაგოს და ყოველგვარი თავის მართლების გარეშე გაეცალოს აქაურობას.

რუსეთთან მატჩამდე სეგრტი ამბობდა, ეს ჩემი კარიერის თამაშიაო, ნამატჩევს კი ფირი შეცვალა და თქვა, ახლა საქართველოს არ ეფეხბურთებაო.

არც ის იყო მთლად გააზრებული ნათქვამი, მეორედაც რომ მომეგო რუსებისთვის, ბორის სტუკალოვს გადადგომად დაუჯდებოდაო. ბატონო პეტარ, თქვენ თქვენს პოსტს მიხედეთ, სტუკალოვი თავისას როგორმე მოუვლის.

ყველაზე გამაღიზიანებელი კი ხორვატმა ნამატჩევს ის თქვა, რომ თურმე რუსებს უფრო მეტად სჭირდებოდათ გამარჯვება.

სატურნირო ცხრილი კი, აი, რას გვკარნახობს: დღეს თუ ქართველები კიდევ წააგებენ, ჯგუფში ბოლო ადგილი გარანტირებული აქვთ, ფრის შემთხვევაში მეოთხეზე გავალთ, გამარჯვება კი მესამე საფეხურზე აგვიყვანს.

შეგახსენებთ, რომ პოლონელებთან სტუმრად 1:3 წააგეს ქართველებმა. ის ერთადერთი გოლი მათე ლვინიანიძემ შეაგდო.

**ნუკრი ლოლაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 7 | 7 | 0 | 0 | 19:2 | 21 |
| რუსეთი | 7 | 5 | 0 | 2 | 14:4 | 15 |
| ყაზახეთი | 8 | 2 | 0 | 6 | 9:18 | 6 |
| პოლონეთი | 7 | 2 | 0 | 5 | 4:11 | 6 |
| საქართველო | 7 | 2 | 0 | 5 | 6:17 | 6 |

# სიომინმა ასათიანი გულში ჩაიკრა: მე მისი მჯერა!



**საქართველოს** ეროვნული ნაკრებიდან კიევის „დინამოში" დაბრუნებულმა მალხაზ ასათიანმა პირველად ივარჯიშა ახალი გუნდის შემადგენლობაში. „დინამოს" თავკაცმა იური სიომინმა ქართველი ახალწვეული დიდი სიხარულით მიიღო გუნდში და უკრაინელი ჟურნალისტების ცნობით, მთელი ვარჯიშის განმავლობაში ამხნევებდა. მას.

გეცოდინებათ: ასათიანმა ექტორ რაულ კუპერთან კონსულტაციის შემდეგ დატოვა ნაკრები და გერმანული მაინციდან კიევში ჩაფრინდა.

„ასათიანზე სერიოზულ იმედებს ვამყარებ. სულ რაღაც ნახევარი წლის წინ ის რუსეთის ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, თუ საუკეთესო არა. წლების განმავლობაში კი კალაძესთან ერთად თამაშობს საქართველოს ნაკრებში. ვერ დავიჯერებ, რომ მას არ შეუძლია ძველი ფორმის აღდგენა. ამიტომაც გადმოვიყვანეთ ის. ასათიანი თავმოყვარე პიროვნებაა და დარწმუნებული ვარ, ყველას დაუმტკიცებს, რომ ისევ შეუძლია მაღალ დონეზე თამაში. მე მისი მჯერა" — აი, ასეთი რამ უთხრა სიომინმა უკრაინელ ჟურნალისტებს.

სიომინმა არც ის დამალა, რომ ასათიანის გამოყენება დაცვაში სურს...

„მართალია, მალხაზს სხვადასხვა პოზიციაზე შეუძლია თამაში, მაგრამ მე ის დაცვაში მჭირდება".

კიევის „დინამოს" მალე ჩემპიონთა ლიგის მატჩები დაეწყება და ქართველი ფეხბურთელის დებიუტსაც იქ უნდა ველოდოთ.

**ქახა შალამბერიძე**

# მარცვალაძეს გააქვს და კიევში რჩება

**ოთარ მარცვალაძე** ის ფეხბურთელია, რომელიც საქართველოს ჩემპიონატში საუკეთესო იყო, წავიდა უცხოურ კლუბში და მთლად ჩაიკარგა. ეს არც პირველი შემთხვევაა და არც უკანასკნელი — ექსვიტჯორჯიელმა ვერა და ვერ მოიკიდა ფეხი კიევის „დინამოს" ძირითად გუნდში, რაც დიდწილად ხშირი ტრავმების ბრალია.

მარტო წლეულს ოთარს ორჯერ დასჭირდა ოპერაცია, შემდეგ ავარიაშიც მოჰყვა და აგერ, ორიოდ დღის წინ ჩაატარა პირველი მატჩი.

კიევის „დინამო 2"-მა უკრაინის ქვედა ლიგის მორიგ ტურში „ანტარესს" 6:2 სძლია, 23 წლის ქართველი ძირითადში იყო, შესვენების შემდეგ შეცვალეს და 70-ე წუთზე ისევ შეიყვანეს მინდორზე — ასეთი რამ ნებადართული ყოფილა, არადა, მატჩი ოფიციალური იყო. თამაშის ბოლო გოლი სწორედ მარცვალაძემ შეაგდო.

„დინამო 2"-ის მწვრთნელმა სერგეი შმატოვალენკომ ოთარზე თქვა, ის ჩვენს გუნდში დარჩება, განათხოვრებას არ ვუპირებთო.

„რა თქმა უნდა, მას ძალიან ბევრი გაუცდა, თუმც ნელ-ნელა შედის ფორმაში. სრულყოფილებამდე ჯერ უკლია, მაგრამ ვარჯიშებზე ჩვეულებრივ ბოლომდე იტვირთება და ცოტა ხანში სრულ კონდიციებამდეც მივა".

„ანტარესთან" შეხვედრაში კახა ალადაშვილმა მეორე ტაიმი იბურთავა, „გაგრას" ყოფილი მცველი ლაშა თოთაძე კი პირველ ტაიმში იყო მინდორზე.

ჰო, მარცვალაძეს არც ალადაშვილი ჩამორჩა და ერთი გოლი იწილადა.

**ილია ნანობაშვილი**



# ლიპის პრობლემები

**იტალიის** ნაკრებს პრობლემები მიეძალა — ჩვენი ეროვნული გუნდის უახლოესი მეტოქე ტრავმებმა შეაწუხა.

კვიპროსთან 6 სექტემბრის მატჩში ალესანდრო გამბერინი და ფაბიო გროსო დაშავდნენ — მათი საქართველოსთან თამაში გამორიცხულია.

ექიმებთან სიარული მოუწევს „მილანის" ნახევარმცველ ჯენარო გატუზოსაც. მან კვირას თავისუფალი აგენტების ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში ხელი მოიტეხა და მარჩელო ლიპის უკვე გამოემშვიდობა.

ერთადერთი სასიხარულო ცნობა კი ლიპის ალესანდრო დელ პიეროს თაობაზე უთხრეს — ტურინის „იუვენტუსის" კაპიტანმა ტრავმა მოირჩინა და თამაში შეუძლია.

ერთიც: ლიპიმ ნაკრებში უხმო „პალერმოს" ახალგაზრდა ნახევარმცველ ანტონიო ნოჩერინოს, ვინაც „სკუადრა აძურაში" აქამდე ერთადერთხელ უთამაშია.

„კვიპროსთან მატჩში რა პრობლემებიც შეგვექმნა, ფიზიკური კონდიციების სისუსტეს უკავშირდება. ბოლო წუთებზე თამაშები ადრეც მოგვიგია, მაგრამ ასეთი გაჭირვებით — არასოდეს. ვეცდებით, საქართველოსთან იგივე არ განმეორდეს და უფრო თავდაჯერებით ავიღოთ სამი ქულა. რაც შეეხება ანტონიო დი ნატალეს, მან თამაშს ძალიან უმატა და გოლებსაც მოუხშირა. ის ჩვენი გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელია" — განაცხადა მარჩელო ლიპიმ.

**ქახა შალამბერიძე**

# დმიტრი კომბაროვი: ქართველები ხომ ცხელსისხლიანები არიან...

**რუსთა** ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს, მოსკოვის „დინამოს" ნახევარმცველ ***დმიტრი კომბაროვს*** ჟურნალისტი ქართველებთან მატჩზეც შეეკითხა — ინტერვიუა და ამონარიდს გთავაზობთ, სადაც მინსკურ თამაშზეა საუბარი...

**— საქართველოს დიდი ანგარიშით, 4:0 სძლიეთ. პოლიტიკურმა სიტუაციამ რამდენად იმოქმედა გუნდის განწყობაზე?**

— იმოქმედა, თუმც გადამწყვეტი ფაქტორი ეს არ ყოფილა. მოგება გვჭირდებოდა და საბედნიეროდ, მივაღწიეთ კიდეც.

**— მეორე ტაიმში გუნდებს შორის სერიოზული შეხლა მოხდა...**

— რას იზამ. ქართველები ცხელსისხლიანები არიან, ჩვენც ასეთები ვართ, თუმც სერიოზულ ჩხუბამდე საქმე არ მისულა.

**— გაგიკვირდათ, მატჩი მოსკოვიდან მინსკში რომ გადაიტანეს?**

— გავბრაზდი, თუმც გაკვირვების მომენტი არ მქონია. ველოდი კიდეც, რომ ნეიტრალურზე გადაიტანდნენ.

## geo_geo_fan@hotmail.com

**SOZIASHVILI:** სალამი „სარბიელს"! ცივ გონებაზე გიწერთ წერილს საქართველოს ირლანდიასთან თამაშის შესახებ. კოშმარი იყო. ბიჭებმა (უმეტესობამ) თავი დადეს, მაგრამ მეკარე არ გვყავს... ხოლო კალაძის და ხიზანიშვილის ასე ცუდად თამაში მე პირადად სამშობლოს ღალატის ტოლფასად მიმაჩნია. იგივე უელსთან ჩვენი დაცვა მინიმუმ უარესად არ გამოიყურებოდა... და თან მე ვერ ვიხსენებ და რედაქციასთან თხოვნაა, შემახსენოთ, ბოლო როდის ითამაშა კახამ საშუალო დონეზე მაინც ნაკრებში?

არც ის მიკვირს უკვე, რატომ არ ხვდება ხიზანიშვილი თავისი გუნდის განაცხადშიც კი. კუპერს ჯერჯერობით არაფერი უნდა მოვთხოვოთ. კაცმა რამდენიმე კვირაში რა უნდა ქნას?! მაგრამ თუ მარადიული პრაქტიკა გაგრძელდა ნაკრებში (სახელების მანიას დავარქმევდი ამას), არც არაფერი გვეშველება არასდროს!!!

გზა და ასპარეზი ახალგაზრდებს!!! სხვა გამოსავალს პირადად მე ვერ ვხედავ...

იტალიასთან მოახლოებულ მატჩს რაც შეეხება... შედეგს არც ვითხოვ ბიჭებისგან ამ ეტაპზე. ვითხოვ ბრძოლას და თავდადებას უკლებლივ ყველასგან!!!

ყენიას თვალებში თუ ბრძოლის ჟინის ცეცხლი ანთია, კალაძემაც რამენაირად უნდა დაინთოს, თუ არა და ახალი გუნდის შენება დავიწყოთ ბოლოს და ბოლოს. ახალი მოთამაშეებით!

ამ გუნდით, მისი მომზადების დონიდან გამომდინარე სამხრეთ აფრიკაში წასვლაზე ოცნებაც კი სიგიჟედ მიმაჩნია...

მაგრამ მომავლის იმედი არის.

მთავარია სწორი მიზნის დასახვა და შორეული პერსპექტივის დანახვა.

იტალია კი ალბათ მოგვიგებს. ძალიან ცუდ ფორმაშია, მაგრამ ჩვენი ამ ფორმაციის გუნდს რომ მოუგოს, უბრალოდ, მოწინაალმდეგის კლასიც კია საკმარისი...

იმედია, ეს დროებითი მოვლენაა... ლელო ლელო საქართველო!!!

### იტალია

სერია B

ვიჩენცა 1:1 ემპოლი

სერია C1/A

ვერონა 2:1 სპალი

### თურქეთი

II დივიზიონი

საქარიასპორი 0:1 დიარბაქირი

### აშშ

მეიჯორლიგა

ჰიუსტონი 3:1 კანზასი

### ირლანდია

პრემიერდივიზიონი

კორკი 1:1 დერი

ბოჰემიანსი 3:0 სტ პატრიკსი

### პოლონეთი

თასი. C ჯგუფი

არკა 2:0 გდანსკი

### შვედეთი

სუპერეტა

იონკოპინგი 0:2 ჰეკენი

ატვიდაბერგი 2:0 ფალკენბერგი

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# დაცვის ცენტრი მოუშუშვლდა

## ზურაბ ხიზანიშვილის იტალია გამოირიცხა!

**ირლანდიასთან** ნამარცხევს, საქართველოს ეროვნული ნაკრები მაინცადან იტალიური უდინეს გზას დაადგა, ექტორ რაულ კუპერი და მისი გუნდი გუშინწინ ჩავიდა უდინეში, სადაც იმ საღამოსვე გამართეს ვარჯიში.

გუშინ კი ორი ვარჯიში იყო — კუპერმა დილითაც და საღამოთიც როგორც ფიზიკურად, ისე ტაქტიკურადაც გაწვრთნა ბიჭები. სავარჯიშო სტადიონი ჩვენების სასტუმროდან 10 წუთის სავალზეა.

სამწუხაროდ, დანაკლისს ვერ ავცდით: მალხაზ ასათიანის ამბავი გეცოდინებათ და პლუს, ზურაბ ხიზანიშვილის თამაშიც გამოირიცხა.

„ხიზანას" მუხლი ასტკივდა, გუშინწინ ვერ ივარჯიშა, გუშინ კი სურათი გადაუღეს და აღმოჩნდა, რომ ხრტილი ჰქონია დაზიანებული, რის მკურნალობასაც დრო სჭირდება.

მოკლედ, ნაკრებს ორი ცენტრალური მცველი მოაკლდა.

საინტერესოა, ხიზანიშვილზე რომ კუპერს გადაწყვეტილი ჰქონოდა იმედი, ასათიანს მაინც დართავდა კიევის „დინამოში" გაბრუნების ნებას?

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე სანდრო ცნობილაძის ცნობით, კუპერმა ასათიანის წასვლაზე ასეთი განცხადება გააკეთა: „ირლანდიასთან თამაშის შემდეგ ასათიანი ჩემთან მოვიდა და მკითხა, რამდენად ექნებოდა იტალიასთან თამაშის შანსი. მე ვუთხარი, რომ ამ მომენტში გადაჭრით ვერავის ვეტყოდი, თამაშის რა შანსი აქვს. ასათიანმა მითხრა, მაშინ გთხოვთ, კიევის „დინამოში" წავალ, გუნდში ახალი გადასული ვარ და ჩემპიონთა ლიგის მატჩებისთვის უკეთ მოვემზადებიო. რაზეც თანხმობა ვუთხარი".

დღეს ნაკრები ჩვენი დროით, 20 საათზე უდინეს „ფრიულიზე" ივარჯიშებს, ნახევარი საათით ადრე კი კუპერი პრესკონფერენციას გამართავს.

**ილია ნანობაშვილი**


ზურაბ ხიზანიშვილი (მარჯვნივ)



# ვინ არის მურვანიძე?

## რატომ ვაფუჭებთ გამოუძახებლებს და რატომ ვკლავთ გამოძახებულებს

„ბოლოს და ბოლოს, პრინციპის საკითხია, გაიტანეთ!" — ხომ იცით, „ცისფერი მთების" კინოგმირი ვასო ჩორგოლაშვილი რომ მიმართავს გრიშას. მას კი არ გააქვს, მავანმა მურვანიძემ ხელი არ მოაწერაო. ფილმში გრენლანდიის სურათზეა ლაპარაკი, ამ შემთხვევაში კი, მოდით, საქართველოს ნაკრებზე ვილაპარაკოთ. საინტერესოა, ვინ არის ნაკრებში ის უჩინარი მურვანიძე, რომელიც ხელს არა და არ აწერს, რომ უთამაშებელი ფეხბურთელი ქვეყნის ეროვნულ გუნდში არ გამოიძახონ და მით უმეტეს, არ ათამაშონ?!
ჩორგოლაშვილი პრინციპს „ანვება", რაც კარგი თვისებაა, მისი ოპონენტი გრიშა კი — სიჯიუტეს...

### მეკარე!!!

სიჯიუტეა (და არა პრინციპულობა), როცა ნაკრების კარში აყენებ თბილისის „დინამოს" სათადარიგო მეკარეს, ვინც გაბონის ნაკრების გოლკიპერს ვერც შეედრება, კონკურენციასაც კი ვერ უწევს.

ეს ადრეც გვითქვამს და უელს-ირლანდიასთან გამართულმა მატჩებმა დაგვანახა, რომ მართალნი ვიყავით.

გიორგი ლორია — მორიგი შერცხვენილი მეკარეა და მის ადგილზე ყოფნას მტერს ვუსურვებთ. ეს ბიჭი არის მავანთა არასწორი არჩევანის მსხვერპლი. მგონი, გულის სიღრმეში თვითონ ლორიასაც სჯერა, რომ ეროვნულ ნაკრებში თამაში ჯერ არ დაუმსახურებია. თავის დროზე ასე მოექცნენ გიორგი მაკარიძესაც.

დააცადეთ, ხალხო, ამ ბიჭებს! თავიდანვე ნუ აჰკიდებთ დიდ ტვირთს, ნუუსპობთ ნაბიჯ-ნაბიჯ განვითარება-დახვეწის შანსს!

გვყავს 19 წლის როინ კვასხვაძე, რომელიც კუპერს წაყვანილი ჰყავს ნაკრებში, მაგრამ ირლანდიასთან მატჩში ის განაცხადშიც არ იყო.

ეს ბიჭი პირველად არ ჰყოლიათ „ექსკურსიაზე", ადრეც რამდენჯერმე იახლეს ნაკრებში და მხოლოდ ვარჯიშებზე ადენინეს ოფლი. მის ნაცვლად კი კარში აყენებდნენ სათამაშო პრაქტიკის არმქონეს! ეს უკვე დოგმად იქცა და ისმის კითხვა, რატომ? რომელ ნაკრებში გინახავთ უთამაშებელი მეკარე? იტალია რომ იტალიაა, როცა კრისტიან აბიატი მადრიდის „ატლეტიკოში" სკამზე იჯდა, იმ პერიოდში ნაკრებში მესამე გოლკიპერადაც კი არ იწვევდნენ.

კვასხვაძე პატარააო, იტყვიან, მაგრამ, აბა, იქნებ ვინმემ გაგვახსენოს მისი ლაფსუსი „ზესტაფონში", მისი პირადად წაგებული თამაში...

ან კიდევ, კვასხვაძე თუ პატარაა, ლორია და მაკარიძე დიდები არიან?!

### ნაკრები

გვახსოვს, კლაუს ტოპმიოლერი რომ ნაკრებში, ალეკო ამისულაშვილს არ იძახებდა, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა მიზეზი და პასუხი ასეთი მიიღო — არ ვიცნობ ასეთ ფეხბურთელსო.

დიდი ეჭვი გვაქვს, არც ექტორ რაულ კუპერმა იცის ამისულაშვილზე რამე.

როდესაც რუსეთის პრემიერლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მცველს ნაკრებში არ იწვევ, ესე იგი, გერმანიის, ინგლისის, ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო უკანახაზელები უნდა გყავდეს: მაშინ ქნებოდა ახსნა.

დავაკვირდეთ საქართველოს ნაკრების დაცვის ხაზს ირლანდიასთან: ფლანგებზე ითამაშეს ამპლუით ცენტრალურმა მცველებმა, რომელთა შეტევაში ჩართვის ეფექტი ძალიან მცირეა. არც უჩა ლობჟანიძე და არც გიორგი შაშიაშვილი სისწრაფით არ გამოირჩევიან, ისინი კახა კალაძე-ზურაბ ხიზანიშვილისგან ხუთი-ათი მეტრის სიგანის დაშორებით თამაშობდნენ, რადგან ფლანგი მათი მოწოდება არ არის.

მარჯვენა მცველი, ისევე, როგორც ნახევარმცველი, დეფიციტია, მაგრამ მარცხნივ რამდენი კარგი კანდიდატურაა — ამ პოზიციაზე კლუბებში რეგულარულად თამაშობენ ილია კანდელაკი და ნუკრი მანჩხავა, რომელიც ეტყობა „ბუად" ესახებათ ნაკრებში, არადა, მანჩხავა იმ „კაუნასის" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია, რომელმაც უეფას თასის ფინალისტი „გლაზგო რეინჯერსი" დაიფრინა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან. ნუთუ არ ღირს მისით დაინტერესება მაინც?

მორიგი კითხვები: რატომ არ იძახებენ ნაკრებში რჩეულებს? რით იზომება ფეხბურთელის შესაძლებლობები?

არ გვიხსენებია დავით კვირკველია, რომელიც ლაშა სალუქვაძესთან ერთად, ყველაზე ბოლოს შეუერთდა ნაკრებს გერმანიაში და კუპერს ნამდვილად ვერ გავამტყუნებთ, რომ ირლანდიასთან არ დააყენა.

ვიცით, უთამაშებლობაზე შემოგვედავებით, არც ლევან ყენიაა „შალკეში" ბურთაობით განებივრებულიო, მაგრამ ეს ეტყობა მას მინდონზე? ყენია ცალკე თემაა, სხვა ფენომენია და თან საკმაოდ მაღალი დონის კლუბის წევრია.

კიდევ ერთი გამოცანა დიმიტრი ტატანაშვილის იგნორირებაა — თავდამსხმელი, რომელიც ჩეხურ „პლზენში" მუდმივად თამაშობს და როდესაც შანსი მისცეს, ნაკრებში გოლითაც გამოირჩა.

24 წლის საღ-სალამათი ფეხბურთელისთვის გატანილი გოლის შემდეგ დაეკეტათ ნაკრების კარი, ამასაც მოფიქრება უნდა.

ნაკრები — თვითონ სიტყვა მიგვანიშნებს, რომ იქ საუკეთესო უნდა იყვნენ, მაგრამ ძალიან ბევრ „სიჯიუტეს" ვაწყდებით...

### გადანაწილებასაც ცოდნა უნდა

მათე ღვინიანიძე, ირაკლი კლიმიაშვილი, ბექა გოცირიძე და თუნდაც უკვე ნახსენები კვასხვაძე — ეს ფეხბურთელები ეროვნულ ნაკრებს ვერაფერში გამოადგნენ ირლანდიასთან მატჩში, 18-კაციან განაცხადშიც კი ვერ მოხვდნენ.

არადა, წინა დღეს როგორ აკლდა ჩვენს 21-წლამდელებს ეს ბიჭები. ოთხივენი სხვადასხვა ამპლუისანი არიან და უდავოდ, პეტარ სეგრტის გუნდში ლიდერები იქნებოდნენ, სხვანაირი გუნდი წარდგებოდა მინსკის „ტრაქტორზე".

ასე გადაჭრით ჯერ ვერ ვსაუბრობთ კუპერ-სეგრტის შეუთანხმებელ მოქმედებაზე, რადგან ვინძლო, არგენტინელმა ხვალ იტალიასთან ათამაშოს ეს ბიჭები, მაგრამ თუ კვლავ განაცხადს მიღმა დატოვა ისინი, მაშინ რა გამოვიდა? რა გამოვიდა და, ჩვენივე ხელით გამოგვიჭრია ყელი რუსეთთან...

**ილია ნანობაშვილი**



# ჩვენთან ვერავინ გაისეირნებს

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ახალი სეზონი 13 სექტემბერს დაიწყება. ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს სრულფასოვნად მომზადების საშუალება არ მისცა, რამდენიმემ საწვრთნელი პროცესიც შეწყვიტა და ახლახან განაახლა. ზუგდიდის „მგლებმა" აგვისტოში მაინც მოახერხა ქობულეთში 10-დღიანი შეკრების გავლა, თუმც ტესტ-მატჩები ვერ გამართა. „მგლების" მთავარ მწვრთნელ ბესიკ შეროზიას გუშინ ვესაუბრეთ...**

— რა თქმა უნდა, სრულფასოვანი შეკრება არ გამოვიდა, მაგრამ რაც გავიარეთ, ასეთ მდგომარეობაში, იმითაც კმაყოფილი ვარ.

**— გუნდი საკმაოდ ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა და შევსებაც მიიღეთ...**

— მოვიდნენ ზურაბ მამალაძე, გიორგი რეხვიაშვილი, გიორგი მიქაბერიძე, კონსტანტინე დარსანია, ვალტერ გუჩუა, გიორგი გულორდავა, ვლადიმერ ჯოჯუა, გია თოდუა, გიორგი ქუცურუა, არჩილ ბაჯელიძე... ასევე რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი გადმოვიყვანეთ ფარმ-კლუბიდან.

**— ახალ სეზონში რა მიზანს ისახავთ?**

— ევროთასების საგზურისთვის ვერ ვიბრძოლებთ, მაგრამ ჩვენთან იოლ გასეირნებას ნურავინ ელის. მაჩანჩალები არ ვიქნებით.

**— ზუგდიდის სტადიონი „ბაიას" ეკუთვნის და ჩემპიონატის მატჩებს სად გამართავთ?**

— „ბაიას" ხელმძღვანელებთან კარგი ურთიერთობა გვაქვს და სტადიონის პრობლემა მოხსნილია. ვარჯიშით კი კახათის მოედანზე ვვარჯიშობთ, იქ საკმაოდ კარგი მინდორია და საწვრთნელი პროცესის ჩატარებას ჩვეულებრივად ვახერხებთ.

**ნუკრი ლოლაძე**

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა

## კალენდარი



### პირველი წრე

**I ტური**

13 სექტემბერი. შაბათი
მგლები – სიონი
ბორჯომი – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – მესხეთი

14 სექტემბერი. კვირა
ოლიმპი – ზესტაფონი
გაგრა – დინამო
*სპარტაკი ისვენებს*

16-17-18 სექტემბერი
თასის 1/8 ფინალი.
საპასუხო მატჩები

**II ტური**

20 სექტემბერი. შაბათი
მგლები – ბორჯომი
ვიტ ჯორჯია – გაგრა

21 სექტემბერი. კვირა
მესხეთი – ოლიმპი
სიონი – ზესტაფონი
დინამო – სპარტაკი
*ლოკომოტივი ისვენებს*

**III ტური**

26 სექტემბერი. პარასკევი
ბორჯომი – სიონი
გაგრა – მგლები
ზესტაფონი – მესხეთი

27 სექტემბერი. შაბათი
ლოკომოტივი – დინამო
სპარტაკი – ვიტ ჯორჯია
*ოლიმპი ისვენებს*

**IV ტური**

30 სექტემბერი. სამშაბათი
ბორჯომი – გაგრა
სიონი – მესხეთი

1 ოქტომბერი. ოთხშაბათი
მგლები – სპარტაკი
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი
დინამო – ოლიმპი
*ზესტაფონი ისვენებს*

**V ტური**

4 ოქტომბერი. შაბათი
გაგრა – სიონი

5 ოქტომბერი. კვირა
სპარტაკი – ბორჯომი
ზესტაფონი – დინამო
ლოკომოტივი – მგლები
ოლიმპი – ვიტ ჯორჯია
*მესხეთი ისვენებს*

**VI ტური**

18 ოქტომბერი. შაბათი
ბორჯომი – ლოკომოტივი
გაგრა – სპარტაკი
ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი

19 ოქტომბერი. კვირა
მესხეთი – დინამო
მგლები – ოლიმპი
*სიონი ისვენებს*

**VII ტური**

24 ოქტომბერი. პარასკევი
სპარტაკი – სიონი
ზესტაფონი – მგლები
ოლიმპი – ბორჯომი

25 ოქტომბერი. შაბათი
ლოკომოტივი – გაგრა
მესხეთი – ვიტ ჯორჯია
*დინამო ისვენებს*

**VIII ტური**

28 ოქტომბერი. სამშაბათი
სიონი – დინამო
ბორჯომი – ზესტაფონი

29 ოქტომბერი. ოთხშაბათი
სპარტაკი – ლოკომოტივი
მგლები – მესხეთი
გაგრა – ოლიმპი
*ვიტ ჯორჯია ისვენებს*

**IX ტური**

1 ნოემბერი. შაბათი
დინამო – ვიტ ჯორჯია

2 ნოემბერი. კვირა
მესხეთი – ბორჯომი
ოლიმპი – სპარტაკი
ლოკომოტივი – სიონი
ზესტაფონი – გაგრა
*მგლები ისვენებს*

**X ტური**

8 ნოემბერი. შაბათი
ლოკომოტივი – ოლიმპი
სიონი – ვიტ ჯორჯია
სპარტაკი – ზესტაფონი
მგლები – დინამო

9 ნოემბერი. კვირა
გაგრა – მესხეთი
*ბორჯომი ისვენებს*

12 ნოემბერი. ოთხშაბათი
თასის 1/4 ფინალი.
პირველი მატჩები

**XI ტური**

16 ნოემბერი. კვირა
ზესტაფონი – ლოკომოტივი
ოლიმპი – სიონი
მესხეთი – სპარტაკი
დინამო – ბორჯომი
ვიტ ჯორჯია – მგლები
*გაგრა ისვენებს*

### მეორე წრე

**XII ტური**

21 ნოემბერი. პარასკევი
სიონი – მგლები

22 ნოემბერი. შაბათი
მესხეთი – ლოკომოტივი
დინამო – გაგრა
ზესტაფონი – ოლიმპი
ვიტ ჯორჯია – ბორჯომი
*სპარტაკი ისვენებს*

26 ნოემბერი. ოთხშაბათი
თასის 1/4 ფინალი.
საპასუხო მატჩები

**XIII ტური**

29 ნოემბერი. შაბათი
ბორჯომი – მგლები

30 ნოემბერი. კვირა
სპარტაკი – დინამო
ზესტაფონი – სიონი
ოლიმპი – მესხეთი
გაგრა – ვიტ ჯორჯია
*ლოკომოტივი ისვენებს*

**XIV ტური**

6 დეკემბერი. შაბათი
მგლები – გაგრა
სიონი – ბორჯომი
დინამო – ლოკომოტივი

7 დეკემბერი. კვირა
მესხეთი – ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია – სპარტაკი
*ოლიმპი ისვენებს*

**XV ტური**

13 დეკემბერი. შაბათი
გაგრა – ბორჯომი
სპარტაკი – მგლები
ოლიმპი – დინამო

14 დეკემბერი. კვირა
ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია
მესხეთი – სიონი
*ზესტაფონი ისვენებს*

**XVI ტური**

20 დეკემბერი. შაბათი
ბორჯომი – სპარტაკი
სიონი – გაგრა
დინამო – ზესტაფონი

21 დეკემბერი. კვირა
მგლები – ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია – ოლიმპი
*მესხეთი ისვენებს*

**XVII ტური**

27 დეკემბერი. შაბათი
სპარტაკი – გაგრა
ოლიმპი – მგლები
დინამო – მესხეთი

28 დეკემბერი. კვირა
ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – ბორჯომი
*სიონი ისვენებს*

**XXVIII ტური**

7 თებერვალი. შაბათი
მგლები – ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია – მესხეთი

8 თებერვალი. კვირა
სიონი – სპარტაკი
გაგრა – ლოკომოტივი
ბორჯომი – ოლიმპი
*დინამო ისვენებს*

**XIX ტური**

14 თებერვალი. შაბათი
ოლიმპი – გაგრა
ლოკომოტივი – სპარტაკი

15 თებერვალი. კვირა
მესხეთი – მგლები
დინამო – სიონი
ზესტაფონი – ბორჯომი
*ვიტ ჯორჯია ისვენებს*

**XX ტური**

21 თებერვალი. შაბათი
ბორჯომი – მესხეთი
გაგრა – ზესტაფონი
სიონი – ლოკომოტივი

22 თებერვალი. კვირა
ვიტ ჯორჯია – დინამო
სპარტაკი – ოლიმპი
*მგლები ისვენებს*

**XXI ტური**

28 თებერვალი. შაბათი
ვიტ ჯორჯია – სიონი
ოლიმპი – ლოკომოტივი
ზესტაფონი – სპარტაკი

1 მარტი. კვირა
მესხეთი – გაგრა
დინამო – მგლები
*ბორჯომი ისვენებს*

**XXII ტური**

6 მარტი. პარასკევი
სპარტაკი – მესხეთი
მგლები – ვიტ ჯორჯია
ბორჯომი – დინამო

7 მარტი. შაბათი
ლოკომოტივი – ზესტაფონი
სიონი – ოლიმპი
*გაგრა ისვენებს*

### მესამე წრე

**XXIII ტური**

10 მარტი. სამშაბათი
ბორჯომი – ვიტ ჯორჯია
გაგრა – დინამო

11 მარტი. ოთხშაბათი
ოლიმპი – ზესტაფონი
მგლები – სიონი
ლოკომოტივი – მესხეთი
*სპარტაკი ისვენებს*

**XXIV ტური**

14 მარტი. შაბათი
დინამო – სპარტაკი
ვიტ ჯორჯია – გაგრა

15 მარტი. კვირა
სიონი – ზესტაფონი
მესხეთი – ოლიმპი
მგლები – ბორჯომი
*ლოკომოტივი ისვენებს*

**XXV ტური**

21 მარტი. შაბათი
ბორჯომი – სიონი
გაგრა – მგლები
ლოკომოტივი – დინამო

22 მარტი. კვირა
ზესტაფონი – მესხეთი
სპარტაკი – ვიტ ჯორჯია
*ოლიმპი ისვენებს*

**XXVI ტური**

4 აპრილი. შაბათი
მგლები – სპარტაკი
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი

5 აპრილი. კვირა
დინამო – ოლიმპი
ბორჯომი – გაგრა
სიონი – მესხეთი
*ზესტაფონი ისვენებს*

**XXVII ტური**

10 აპრილი. პარასკევი
ოლიმპი – ვიტ ჯორჯია
ზესტაფონი – დინამო
ლოკომოტივი – მგლები
გაგრა – სიონი

11 აპრილი. შაბათი
სპარტაკი – ბორჯომი
*მესხეთი ისვენებს*

14 აპრილი. სამშაბათი
თასის 1/2 ფინალი.
პირველი მატჩები

**XXVIII ტური**

17 აპრილი. პარასკევი
ბორჯომი – ლოკომოტივი
გაგრა – სპარტაკი

18 აპრილი. შაბათი
მგლები – ოლიმპი
დინამო – მესხეთი
ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი
*სიონი ისვენებს*

**XXIX ტური**

24 აპრილი. პარასკევი
სპარტაკი – სიონი
ლოკომოტივი – გაგრა

25 აპრილი. შაბათი
ოლიმპი – ბორჯომი
ზესტაფონი – მგლები
მესხეთი – ვიტ ჯორჯია
*დინამო ისვენებს*

**XXX ტური**

2 მაისი. შაბათი
მგლები – მესხეთი

3 მაისი. კვირა
სპარტაკი – ლოკომოტივი
სიონი – დინამო
გაგრა – ოლიმპი
ბორჯომი – ზესტაფონი
*ვიტ ჯორჯია ისვენებს*

**XXXI ტური**

9 მაისი. შაბათი
ლოკომოტივი – სიონი
მესხეთი – ბორჯომი

10 მაისი. კვირა
ზესტაფონი – გაგრა
დინამო – ვიტ ჯორჯია
ოლიმპი – სპარტაკი
*მგლები ისვენებს*

**XXXII ტური**

17 მაისი. კვირა
სიონი – ვიტ ჯორჯია
მგლები – დინამო
ლოკომოტივი – ოლიმპი
გაგრა – მესხეთი
სპარტაკი – ზესტაფონი
*ბორჯომი ისვენებს*

**XXXIII ტური**

23 მაისი. შაბათი
ოლიმპი – სიონი
ზესტაფონი – ლოკომოტივი
მესხეთი – სპარტაკი
ვიტ ჯორჯია – მგლები
დინამო – ბორჯომი
*გაგრა ისვენებს*

28 მაისი. ხუთშაბათი
თასის ფინალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აქეთ ცქიტიშვილი, იქით იაშვილი

## ტრანსფერები დღე-დღეზე გადაწყდება



ზურაბ ჯოლოხავაშვილის ფოტო

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა 13 სექტემბერს დაიწყება. თბილისის „ლოკომოტივმა" და ბოლნისის „სიონმა" კი ბოლო ტესტ-მატჩი გამართეს — თბილისელებმა 2:3 წააგეს.

გიორგი კიკნაძის შეგირდები მატჩის განმავლობაში ორჯერ იგებდნენ. „ლოკომოტივი" ვიტალი დარასელიამ დააწინაურა, ზაზა ჭელიძემ გათანაბრება მოახერხა, თუმცა ირაკლი ჩირიკაშვილმა დედაქალაქელები კვლავ წინ გაიყვანა. მერე კი „სიონმა" იძალა, ვლადიმერ კაკაშვილმა პენალტით 2:2 გახადა, გამარჯვების გოლი კი გიორგი ჩივაძემ გაიტანა.

აღსანიშნავია, რომ „ლოკომოტივის" შემადგენლობაში ითამაშა ლევან ცქიტიშვილმა. მას მუხლის ტრავმა ჰქონდა და ახლახან მოიშუშა.

ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, ცქიტიშვილის ამ გუნდში დარჩენა, თუმცა, როგორც თბილისურ. კლუბში ამბობენ, სავარაუდოდ, ლევანი მე-20 ეროვნულ ჩემპიონატს მათთან დაიწყებს.

ტრავმის გამო არ უთამაშია ლოკომოტიველ ზვიად ჩხეტიანს.

აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ დაჩი ფოფხაძეს „ჭიათურასთან" სათასო მატჩში მიღებული წითელი ბარათი სამი თამაშის დისკვალიფიკაციად დაუჯდა.

„სიონში" კი სანდრო იაშვილმა ითამაშა და მისი წასვლა-დარჩენის საკითხი ორიოდ დღეში გადაწყდება.

ერთიც: ამ შეხვედრაში ირაკლი შენგელიამ კუნთი გაიწყვიტა და, სავარაუდოდ, „სიონს" პირველ წრეში ველარ დაეხმარება.

გუნდების შემადგენლობები კი ასეთი იყო:

*ლოკომოტივი:* *გ. ლომაია, კ. მახარაძე, ფარულავა, გუშარაშვილი, სარალიძე, ი. სამხარაძე, ცქიტიშვილი (ვ. ჭელიძე 46), კახელიშვილი, ჩირიკაშვილი, ვ. დარასელია (ბარბაქაძე 65), დ. ჩაგელიშვილი.*

*სიონი:* *ბობლიაშვილი, კობაური, კაკაშვილი, სვანიძე, ქემოკლიძე, ქურასბედიანი (შ. ჯიქია 46), ზ. ჭელიძე (ლ. ბაჯელიძე 65), კოშკაძე (შავგულიძე 70), ხუბუა (გ. ჩივაძე 60), ს. დავითაშვილი (ს. იაშვილი 70), ი. შენგელია (რ. გოცირიძე 40).*

**ნუკრი ლოლაძე**



# ოლიმპმა გაგრა არ დაინდო

**გუშინ** მუხრანში „გაგრამ" და რუსთავის „ოლიმპმა" ამხანაგურად ითამაშეს, თუმც ანგარიში არაამხანაგური გამოვიდა — „ოლიმპმა" 6:0 მოუგო უმაღლესი ლიგის დებიუტანტს.

პირველ ტაიმში გოგი ფიფიამ და გიორგი მეგრელაძემ გაიტანეს, მეორე ნახევარში კი გიორგი ფეიქრიშვილმა, კოკა მიკუჩაძემ, გიორგი სეთურიძემ და დენის დობროვოლსკიმ არ დაინდეს მეტოქე.

გუნდების შემადგენლობები ასეთი იყო:

*გაგრა: კოტრიკაძე, ქაჯაია, გიგაური, მგელაძე, გაბუნია, ფილია, ზ. დათუნაშვილი, ჩარგეიშვილი, შარიქაძე, გაბედავა, ზ. მეტრეველი.*

*ოლიმპი: სტურუა, თ. ღონღაძე, მაჭავარიანი, ჩიკვილაძე, გილაური, გ. სეთურიძე, გაბიდაური, ბაბუნაშვილი, ფეიქრიშვილი, მეგრელაძე, ფიფია.*

*შეცვლაზე შევიდნენ: მერლანი, გ. ჩხეტიანი, მიკუჩაძე, დობროვოლსკი.*

**ნუკრი ლოლაძე**

# მეზობელთა კარისათ

## მესხეთს ქებაძე შემატა

**ახალციხის** „მესხეთმა" და „ბორჯომმა" რამდენიმე დღეა, რაც ვარჯიში გაანახლეს.

შეგახსენებთ, რომ „ბორჯომს" ახალი თავკაცი ჰყავს — გიორგი სუხიაშვილი.

მეზობლებმა ბორჯომში ამხანაგური მატჩი გამართეს და მასპინძლებმა 3:1 იმარჯვეს.

პირველი ნახევრის ბოლოს „მესხეთი" მთავარი მწვრთნელის, კობა თედიაშვილის ვაჟმა ლევანმა დააწინაურა და ტაიმიც ასე ჩამთავრდა. მერე კი „ბორჯომის" ჯერი დადგა: კურორტელებმა სამი უპასუხო გოლი გაიტანეს — გამთანაბრებელი გიორგი ლომიძემ შეაგდო, მერე ირაკლი კიკნაძემ იხეირა, წერტილი კი მატჩს ბექა ბაქრაძემ დაუსვა.

ამ შეხვედრაში ტრავმის გამო ახალციხელებს ზაზა კობესაშვილი და ლადო ახალაია დააკლდათ. სიახლე კი ლაშა ქებაძე იყო, რომელიც ბოლოს რუსთავის „ოლიმპში" ვარჯიშობდა.

გუნდებმა ამ შემადგენლობებით ითამაშეს:

*ბორჯომი: შეყრილაძე, ლაცაბიძე, ვაჩიბერაძე, ბალიაშვილი, ნოზაძე, ავალიანი, ვ. ხორგუაშვილი, ალავერდაშვილი, დ. ხორგუაშვილი, ბ. ბაქრაძე, კეკოშვილი.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ნ. ლომიძე, გ. ლომიძე, ჯობაძე, ი. კიკნაძე.*

*მესხეთი: სომხიშვილი, რაქვიაშვილი, მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, თაყაძე, ლეკიშვილი, ლ. თედიაშვილი, ინასარიძე, ლ. ქებაძე, გონჩაროვი, ვ. გოჩაშვილი.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ძამუნაშვილი, სულაძე, ქოჩორაშვილი.*

**ლუკა თალაკვაძე**

# პირველი ლიგა

**აღმოსავლეთი**

ვიტ ჯორჯია 2 თბილისი 0:0 ჩიხურა საჩხერე

თბილისი 1:1 დილა გორი

**დასავლეთი**

სამტრედია 1:2 კოლხეთი ფოთი

ჭიათურა 5:1 გურია ლანჩხუთი

ბაია ზუგდიდი 4:0 მეშახტე ტყიბული

ზესტაფონი 2 0:0 ბათუმი

ხობი 1:0 ტორპედო 2008 ქუთაისი




**ჩოგბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!**

ა.წ. 12, 13, 14 სექტემბერს „ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის" კორტებზე ჩატარდება ბიზნესმენთა ღია ტურნირი „რაკიინის თასზე". ტურნირში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს განურჩევლად მისი საქმიანობისა.

ტურნირში მონაწილეობის მსურველებს გთხოვთ მოგვაწოდოთ განაცხადი 11 სექტემბრამდე ფაქსზე: 953704; 95 27 81 ან E-MAIL: GTF@GOL.GE

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 953800; 952781

ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტი

# პირველი ლიგა. დასავლეთ და აღმოსავლეთ ზონები

## პირველი წრე

### I ტური

8 სექტემბერი
სამტრედია – კოლხეთი
ჭიათურა – გურია
ბაია – მეშახტე
ზესტაფონი 2 – ბათუმი
ხობი – ტორპედო 2008

### II ტური

13 სექტემბერი
კოლხეთი – ჭიათურა
მეშახტე – სამტრედია
მერანი – ზესტაფონი 2

14 სექტემბერი
ბათუმი – ხობი
ტორპედო 2008 – ბაია

### III ტური

22 სექტემბერი
ხობი – მერანი
ბაია – ბათუმი
სამტრედია – ტორპედო 2008
ჭიათურა – მეშახტე
გურია – კოლხეთი

### IV ტური

28 სექტემბერი
მეშახტე – გურია
ბათუმი – სამტრედია
მერანი – ბაია
ტორპედო 2008 – ჭიათურა
ზესტაფონი 2 – ხობი

### V ტური

2 ოქტომბერი
ბაია – ზესტაფონი 2
სამტრედია – მერანი
ჭიათურა – ბათუმი
გურია – ტორპედო 2008
კოლხეთი – მეშახტე

### VI ტური

6 ოქტომბერი
ტორპედო 2008 – კოლხეთი
ბათუმი – გურია
მერანი – ჭიათურა
ზესტაფონი 2 – სამტრედია
ხობი – ბაია

### VII ტური

12 ოქტომბერი
სამტრედია – ხობი
ჭიათურა – ზესტაფონი
გურია – მერანი
კოლხეთი – ბათუმი
მეშახტე – ტორპედო 2008

### VIII ტური

19 ოქტომბერი
ბათუმი – მეშახტე
მერანი – კოლხეთი
ზესტაფონი 2 – გურია
ხობი – ჭიათურა
ბაია – სამტრედია

### IX ტური

26 ოქტომბერი
ჭიათურა – ბაია
გურია – ხობი
კოლხეთი – ზესტაფონი 2
მეშახტე – მერანი
ტორპედო 2008 – ბათუმი

### X ტური

30 ოქტომბერი
მერანი – ტორპედო 2008
ზესტაფონი 2 – მეშახტე
ხობი – კოლხეთი
ბაია – გურია
სამტრედია – ჭიათურა

### XI ტური

3 ნოემბერი
გურია – სამტრედია
კოლხეთი – ბაია
მეშახტე – ხობი
ტორპედო 2008 – ზესტაფონი 2
ბათუმი – მერანი

## მეორე წრე

### XII ტური

9 ნოემბერი
კოლხეთი – სამტრედია
მეშახტე – ბაია
ბათუმი – ზესტაფონი 2
გურია – ჭიათურა
ტორპედო 2008 – ხობი

### XIII ტური

17 ნოემბერი
ბაია – ტორპედო 2008
ხობი – ბათუმი
ჭიათურა – კოლხეთი
სამტრედია – მეშახტე
ზესტაფონი 2 – მერანი

### XIV ტური

21 ნოემბერი
მერანი – ხობი
ბათუმი – ბაია
ტორპედო 2008 – სამტრედია
მეშახტე – ჭიათურა

22 ნოემბერი
კოლხეთი – გურია

### XV ტური

27 ნოემბერი
ხობი – ზესტაფონი 2

28 ნოემბერი
ჭიათურა – ტორპედო 2008
სამტრედია – ბათუმი
ბაია – მერანი

29 ნოემბერი
გურია – მეშახტე

### XVI ტური

3 დეკემბერი
ზესტაფონი 2 – ბაია
მერანი – სამტრედია
ბათუმი – ჭიათურა
ტორპედო 2008 – გურია
მეშახტე – კოლხეთი

### XVII ტური

7 დეკემბერი
კოლხეთი – ტორპედო 2008
გურია – ბათუმი
ჭიათურა – მერანი
ბაია – ხობი

8 დეკემბერი
სამტრედია – ზესტაფონი 2

### XVIII ტური

1 მარტი
ხობი – სამტრედია
ზესტაფონი 2 – ჭიათურა
მერანი – გურია
ბათუმი – კოლხეთი
ტორპედო 2008 – მეშახტე

### XIX ტური

5 მარტი
გურია – ზესტაფონი 2
სამტრედია – ბაია
ჭიათურა – ხობი
მეშახტე – ბათუმი
კოლხეთი – მერანი

### XX ტური

12 მარტი
ბაია – ჭიათურა
ხობი – გურია
ზესტაფონი 2 – კოლხეთი
მერანი – მეშახტე
ბათუმი – ტორპედო

### XXI ტური

16 მარტი
ტორპედო 2008 – მერანი
მეშახტე – ზესტაფონი 2
კოლხეთი – ხობი
გურია – ბაია
ჭიათურა – სამტრედია

### XXII ტური

22 მარტი
სამტრედია – გურია
ბაია – კოლხეთი
ხობი – მეშახტე
მერანი – ბათუმი

23 მარტი
ზესტაფონი 2 – ტორპედო 2008

## მესამე წრე

### XXIII ტური

29 მარტი
მერანი – ზესტაფონი 2
ხობი – ბაია
სამტრედია – ჭიათურა
გურია – კოლხეთი
მეშახტე – ტორპედო 2008

### XXIV ტური

6 აპრილი
ზესტაფონი 2 – ხობი
ბაია – სამტრედია
ჭიათურა – გურია
კოლხეთი – მეშახტე
ტორპედო 2008 – ბათუმი

### XXV ტური

11 აპრილი
ბათუმი – მერანი
ზესტაფონი 2 – ბაია
ხობი – სამტრედია
ჭიათურა – კოლხეთი
გურია – მეშახტე

### XXVI ტური

16 აპრილი
მერანი – ხობი
ბაია – ჭიათურა
სამტრედია – გურია
კოლხეთი – ტორპედო 2008
მეშახტე – ბათუმი

### XXVII ტური

23 აპრილი
ტორპედო 2008 – მერანი
ბათუმი – ზესტაფონი 2
ხობი – ჭიათურა
ბაია – გურია
სამტრედია – კოლხეთი

### XXVIII ტური

26 აპრილი
მერანი – ბაია
ზესტაფონი 2 – სამტრედია
ჭიათურა – მეშახტე
გურია – ტორპედო 2008
კოლხეთი – ბათუმი

### XXIX ტური

30 აპრილი
მეშახტე – მერანი
ზესტაფონი 2 – ჭიათურა
ხობი – გურია
ბათუმი – ბაია
სამტრედია – ტორპედო 2008

### XXX ტური

5 მაისი
ხობი – კოლხეთი
გურია – ბათუმი
ტორპედო 2008 – ზესტაფონი 2
სამტრედია – მეშახტე
მერანი – ჭიათურა

### XXXI ტური

12 მაისი
მერანი – სამტრედია
ბათუმი – ხობი
ბაია – კოლხეთი
ჭიათურა – ტორპედო 2008
მეშახტე – ზესტაფონი 2

### XXXII ტური

19 მაისი
კოლხეთი – მერანი
ტორპედო 2008 – ხობი
ზესტაფონი 2 – გურია
ბაია – მეშახტე
ჭიათურა – ბათუმი

### XXXIII ტური

24 მაისი
გურია – მერანი
კოლხეთი – ზესტაფონი 2
მეშახტე – ხობი
ტორპედო 2008 – ბაია
ბათუმი – სამტრედია

## პირველი წრე

### I ტური

7 სექტემბერი
ნორჩი დინამო – დინამო 2
ამერი – კახეთი
გაგრა 2 – სიონი 2

8 სექტემბერი
ვიტ ჯორჯია 2 – ჩიხურა
თბილისი – დილა

### II ტური

13 სექტემბერი
დილა – ამერი
კახეთი – გაგრა 2
დინამო 2 – თბილისი

14 სექტემბერი
შერეთი – ვიტ ჯორჯია 2
ჩიხურა – ნორჩი დინამო

### III ტური

21 სექტემბერი
ნორჩი დინამო – შერეთი
გაგრა 2 – დილა

22 სექტემბერი
ამერი – დინამო 2
სიონი 2 – კახეთი
თბილისი – ჩიხურა

### IV ტური

28 სექტემბერი
დინამო 2 – გაგრა 2
ჩიხურა – ამერი
შერეთი – თბილისი
დილა – სიონი 2
ვიტ ჯორჯია 2 – ნორჩი დინამო

### V ტური

2 ოქტომბერი
თბილისი – ვიტ ჯორჯია 2
ამერი – შერეთი
გაგრა 2 – ჩიხურა
სიონი 2 – დინამო 2
კახეთი – დილა

### VI ტური

6 ოქტომბერი
დინამო 2 – კახეთი
ჩიხურა – სიონი 2
შერეთი – გაგრა 2
ვიტ ჯორჯია 2 – ამერი
ნორჩი დინამო – თბილისი

### VII ტური

12 ოქტომბერი
კახეთი – ჩიხურა
დილა – დინამო 2
ამერი – ნორჩი დინამო
გაგრა 2 – ვიტ ჯორჯია 2
სიონი 2 – შერეთი

### VIII ტური

18 ოქტომბერი
თბილისი – ამერი
ჩიხურა – დილა

19 ოქტომბერი
შერეთი – კახეთი
ვიტ ჯორჯია 2 – სიონი 2
ნორჩი დინამო – გაგრა 2

### IX ტური

26 ოქტომბერი
გაგრა 2 – თბილისი
სიონი 2 – ნორჩი დინამო
კახეთი – ვიტ ჯორჯია 2
დილა – შერეთი
დინამო 2 – ჩიხურა

### X ტური

29 ოქტომბერი
ნორჩი დინამო – კახეთი

30 ოქტომბერი
შერეთი – დინამო 2
თბილისი – სიონი 2
ამერი – გაგრა 2
ვიტ ჯორჯია 2 – დილა

### XI ტური

3 ნოემბერი
სიონი 2 – ამერი
კახეთი – თბილისი
დილა – ნორჩი დინამო
დინამო 2 – ვიტ ჯორჯია 2
ჩიხურა – შერეთი

## მეორე წრე

### XII ტური

7 ნოემბერი
სიონი 2 – გაგრა 2

9 ნოემბერი
კახეთი – ამერი
დილა – თბილისი
დინამო 2 – ნორჩი დინამო
ჩიხურა – ვიტ ჯორჯია 2

### XIII ტური

16 ნოემბერი
ნორჩი დინამო – ჩიხურა

17 ნოემბერი
ამერი – დილა
გაგრა 2 – კახეთი
ვიტ ჯორჯია 2 – შერეთი
თბილისი – დინამო 2

### XIV ტური

21 ნოემბერი
შერეთი – ნორჩი დინამო
ჩიხურა – თბილისი
დინამო 2 – ამერი
დილა – გაგრა 2

22 ნოემბერი
კახეთი – სიონი 2

### XV ტური

28 ნოემბერი
სიონი 2 – დილა
გაგრა 2 – დინამო 2
ნორჩი დინამო – ვიტ ჯორჯია 2

29 ნოემბერი
თბილისი – შერეთი
ამერი – ჩიხურა

### XVI ტური

3 დეკემბერი
ვიტ ჯორჯია 2 – თბილისი
დილა – კახეთი
ჩიხურა – გაგრა 2
დინამო 2 – სიონი 2
შერეთი – ამერი

### XVII ტური

7 დეკემბერი
კახეთი – დინამო 2
სიონი 2 – ჩიხურა
თბილისი – ნორჩი დინამო
გაგრა 2 – შერეთი

8 დეკემბერი
ამერი – ვიტ ჯორჯია 2

### XVIII ტური

1 მარტი
ჩიხურა – კახეთი
შერეთი – სიონი 2
ნორჩი დინამო – ამერი

2 მარტი
დინამო 2 – დილა
ვიტ ჯორჯია 2 – გაგრა 2

### XIX ტური

5 მარტი
კახეთი – შერეთი
ამერი – თბილისი

6 მარტი
გაგრა 2 – ნორჩი დინამო

8 მარტი
დილა – ჩიხურა
სიონი 2 – ვიტ ჯორჯია 2

### XX ტური

11 მარტი
თბილისი – გაგრა 2

12 მარტი
ვიტ ჯორჯია 2 – კახეთი
შერეთი – დილა
ჩიხურა – დინამო 2
ნორჩი დინამო – სიონი 2

### XXI ტური

16 მარტი
დინამო 2 – შერეთი
დილა – ვიტ ჯორჯია 2
კახეთი – ნორჩი დინამო
სიონი 2 – თბილისი
გაგრა 2 – ამერი

### XXII ტური

22 მარტი
ნორჩი დინამო – დილა
შერეთი – ჩიხურა

23 მარტი
ვიტ ჯორჯია 2 – დინამო 2
თბილისი – კახეთი
ამერი – სიონი 2

## მესამე წრე

### XXIII ტური

29 მარტი
შერეთი – ვიტ ჯორჯია 2
ნორჩი დინამო – თბილისი
ამერი – გაგრა 2
სიონი 2 – კახეთი
დილა – დინამო 2

### XXIV ტური

6 აპრილი
ვიტ ჯორჯია 2 – ნორჩი დინამო
თბილისი – ამერი
გაგრა 2 – სიონი 2
კახეთი – დილა
დინამო 2 – ჩიხურა

### XXV ტური

11 აპრილი
ჩიხურა – შერეთი
ვიტ ჯორჯია 2 – თბილისი
ნორჩი დინამო – ამერი
გაგრა 2 – კახეთი
სიონი 2 – დილა

### XXVI ტური

16 აპრილი
შერეთი – ნორჩი დინამო
თბილისი – გაგრა 2
ამერი – სიონი 2
კახეთი – დინამო 2
დილა – ჩიხურა

### XXVII ტური

23 აპრილი
ნორჩი დინამო – გაგრა 2
დინამო 2 – შერეთი
თბილისი – სიონი 2
ამერი – კახეთი
ჩიხურა – ვიტ ჯორჯია 2

### XXVIII ტური

26 აპრილი
შერეთი – თბილისი
ვიტ ჯორჯია 2 – ამერი
გაგრა 2 – დილა
სიონი 2 – დინამო 2
კახეთი – ჩიხურა

### XXIX ტური

30 აპრილი
დილა – შერეთი
ვიტ ჯორჯია 2 – გაგრა 2
ნორჩი დინამო – სიონი 2
ჩიხურა – თბილისი
ამერი – დინამო 2

### XXX ტური

5 მაისი
ნორჩი დინამო – კახეთი
სიონი 2 – ჩიხურა
დინამო 2 – ვიტ ჯორჯია 2
ამერი – დილა
შერეთი – გაგრა 2

### XXXI ტური

12 მაისი
შერეთი – ამერი
ჩიხურა – ნორჩი დინამო
თბილისი – კახეთი
გაგრა 2 – დინამო 2
დილა – ვიტ ჯორჯია 2

### XXXII ტური

19 მაისი
კახეთი – შერეთი
დინამო 2 – ნორჩი დინამო
ვიტ ჯორჯია 2 – სიონი 2
თბილისი – დილა
გაგრა 2 – ჩიხურა

### XXXIII ტური

24 მაისი
სიონი 2 – შერეთი
კახეთი – ვიტ ჯორჯია 2
დილა – ნორჩი დინამო
დინამო 2 – თბილისი
ჩიხურა – ამერი

# გროსოს მოგონებები, ფიცი და მიზნები



**ბოლო წლებში ფაბიო გროსო იტალიის ნაკრებისთვის შეუცვლელ მოთამაშედ იქცა. განსაკუთრებით 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერე, რომლის მოგებაშიც მან მნიშვნელოვანი წვლილი დაიდო. „სკუადრა აძურას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაბრუნებული მარჩელო ლიპი ახლაც დიდ იმედებს ამყარებს მასზე და გროსოც ნაკრების მაისურით ფაქტობრივად ყოველთვის კარგად თამაშობს. „ლიონის" მცველს fifa.com-ი გაესაუბრა...**

**— მსოფლიოს ორი წლის წინანდელ ჩემპიონატზე რომ ფიქრობთ, განსაკუთრებულად კარგად და გამორჩეულად რა გახსენდებათ?**

— ეს ჩემთვის განსაკუთრებული მოვლენაა, რადგან კარიერა სულ ფსკერიდან დავიწყე და საბოლოოდ მწვერვალზე ამოვჩნდი. ეს იყო ბრწყინვალე თავგადასავალი, რომელიც ჩემს ჩინებულ თანამემამულეებთან ერთად გადამხდა თავს. მუნდიალამდე, ორი მოსამზადებელი წელიც გამორჩეული გახლდათ. კარგად მახსოვს, როდის გამომიძახეს პირველად, როგორ მივედი ბაზაზე, მახსოვს ჩემი პირველი მატჩები და გოლიც. შემდეგ, ნაკრების სამსოფლიოჩემპიონატო განაცხადში მოხვედრა...

**— პირველი გოლი მართლაც დასამახსოვრებელი გამოგივიდათ...**

— ის გოლი შოტლანდიაში გავიტანე, 2006 წლის მუნდიალის შესარჩევ მატჩში. უმნიშვნელოვანესი შეხვედრა იყო, მინდორზე შეცვლაზე შევედი და ისე გამიმართლა, რომ გავიტანე, რაც საბოლოოდ გადამწყვეტი გამოდგა. ეს არასოდეს დამავიწყდება.

**— მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებს გვარიანად დაეხმარეთ ფინალურ ეტაპზე გასვლაში, ძირითად შემადგენლობაში თქვენი მოხვედრა-არმოხვედრის საკითხი ეჭვქვეშ იდგა...**

— იმ მომენტში მარტო იმაზე ვფიქრობდი, რომ 23-კაციან განაცხადში მოვხვდი. თუმცა ჩვენი მწვრთნელის მარჩელო ლიპის ნდობას ყოველთვის ვგრძნობდი. რა შემიძლია ვთქვა მასზე? ერთადერთი, მადლობის გადახდა შემიძლია, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, მისი შესარჩევი ეტაპისა და ყველაფრისთვის, რაც კიდევ წინ გველის.

**— პირველი მატჩი განის ნაკრების წინააღმდეგ ძირითადში დაიწყეთ, მერე კი აშშ-თან სათადარიგოთა სკამზე იჯექით. ამაზე რას იტყვით?**

— ძალიან მწვავე რეაქცია არ მქონია სათადარიგოთა სკამზე მოხვედრის გამო, მიუხედავად იმისა, რომ ეს არასოდესაა სასიამოვნო. ჩვენი მთავარი ძალა გუნდურობაში იყო. ფეხბურთელები ყველაფერს გაგებით ვეკიდებოდით. თავის გამოჩენა ყველას სურდა, მაგრამ ვისაც თამაშის საშუალება არ ეძლეოდა, ისიც ყოველთვის მთელი ენთუზიაზმით ჩაბმული იყო მატჩში და თანაგუნდელებს ქომაგობდა.

**— თქვენი პირველი მაგიური მომენტის სანახავად კი ავსტრალიასთან მერვედფინალურ მატჩამდე მოცდა მოგვიხდა...**

— ეს მართლაც საოცარი იყო, პირველი ბრწყინვალე და განსაკუთრებული განცდა, რომელიც მუნდიალზე მივიღე. მატჩის დასრულებამდე წამებით ადრე, ფრანჩესკო ტოტიმ ჩინებულად მიპასა და მეც მარცხენა ფლანგიდან მეტოქის საჯარიმოში შევედი და მიუხედავად იმისა, რომ ზოგს არ სჯერა, შემიძლია დავიფიცო, რომ ავსტრალიელმა წესების დარღვევით შემაჩერა, ეს ნამდვილი პენალტი იყო. ტოტიმ კი ზუსტად დაარტყა.

**— მეორე მაგიური მომენტი კი ნახევარფინალში გერმანიასთან იყო, როცა დამატებითი დროის დასრულებამდე 1 წუთით ადრე ჩინებული გოლი გაიტანეთ...**

— საოცარი მატჩი იყო! შევძელით გერმანელების დამარცხება, რომლებიც მატჩამდე გაკეთებულ კომენტარებში ძალიან თავდაჯერებულები გამოიყურებოდნენ, თან დორტმუნდში თავიანთ საყვარელ სტადიონზე გვხვდებოდნენ. კუთხურის მოწოდებისას, მეტოქის მცველებს ჩამოვშორდი, ბურთი ანდრეა პირლოს მიუვიდა, რომელსაც თვალები კეფაზეც აქვს და მანაც ჩინებულად დამიგორა, დარტყმაც კარგი გამომივიდა, მეკარეს სანტიმეტრები დააკლდა ბურთის მოგერიებამდე. მერე კი... უბრალოდ გავგიჟდი. ისეთი ბედნიერი ვიყავი, რომ ამას ნამდვილად ვერ გადმოგცემთ. დაახლოებით რომ გაიგოთ, ალბათ იმ მომენტის ჩანაწერი უნდა ნახოთ.

**— გარდა ამისა, იმ პერიოდში თქვენს პირად ცხოვრებაშიც რაღაც განსაკუთრებული ხდებოდა...**

— მართალია, შვილის, კერძოდ კი ვაჟის დაბადებას ველოდებოდი. იგი რამდენიმე თვის მერე დაიბადა და ახლა თითქმის ორი წლისაა, ფილიპო ჰქვია, ნელ-ნელა იზრდება და აბსოლუტურად ჯანმრთელია. იმ ბრწყინვალე პერიოდში გამოვცადე ყველაფერი საუკეთესო, რაც ფეხბურთელსა და კაცს შეიძლება გადახდეს.

**— ფინალში საფრანგეთთან გამარჯვების პენალტიც თქვენ გაიტანეთ...**

— დიახ, მეხუთე პენალტი ფინალში, როცა ერთი გოლით წინ ვიყავით მეტოქეზე. ეს არის დარტყმა, რომელზეც ბავშვობაში ყველას გვიოცნებია. ბევრი ისეთი რამ გამოვცადე, რომ იგივეს ყველას ვუსურვებ. ერთი რამ კი უკვე ვიცი — ძალიან გამიმართლა და პრივილეგირებული ვარ, რომ ცხოვრებაში ამგვარი რამეები გამოვცადე.

**— ევრო 2008-ზე თქვენმა ჩინებულმა თამაშმა კი დაამტკიცა, რომ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე უბრალოდ არ გაგიმართლებიათ...**

— ძალიან დიდ მადლობას გიხდით ქებისთვის და მოხარული ვარ, რომ ასე ფიქრობთ. შემიძლია ვთქვა, რომ ყოველთვის ვიცოდი ჩემი ძლიერი და სუსტი მხარეები. გერმანიის მუნდიალმა ბევრად მეტი მასწავლა. ვიცი რაც შემიძლია და საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული გახლავართ, მაგრამ ზედმეტს თავზე არასდროს ვიღებ.

**— რას იტყვით მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატისკენ მიმავალ გზაზე? ვისი გეშინიათ ყველაზე მეტად თქვენი შესარჩევი ჯგუფიდან?**

— ყველასი და არავისი. ნაკრები, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონის სახელსა და ნიშანს ატარებს, პატივს უნდა სცემდეს ყველა მეტოქეს, მაგრამ საკუთარ ძალაშიც დარწმუნებული უნდა იყოს.

**— საკლუბო ფეხბურთზეც ვთქვათ. მილანის „ინტერში" გატარებული რთული პერიოდის მერე, როგორც ჩანს, „ლიონში" საქმე კარგად მიგდით.**

— ალბათ, „ინტერში" ჩემთვის იდეალური ატმოსფერო არ იყო. თუმცა იქ გატარებულმა პერიოდმა ბევრი მასწავლა და მაინც არ ვარ უკმაყოფილო. მერე კი „ლიონში" გადასვლა გადავწყვიტე და არც ვნანობ. ბრწყინვალე თანაკლუბელები მყავს, საფრანგეთში ზეწოლაც ნაკლებია, ვიდრე იტალიაში. თუმცა ნამდვილი სპორტსმენისთვის ზეწოლა საკუთარი თავისგან მოდის. წინა სეზონში ქვეყნის ჩემპიონატიც მოვიგეთ და თასიც, რაც დიდი წარმატებაა და „ლიონი" ასე გაგარძელებას აპირებს.

**— რა მიზნებს ისახავთ უახლოეს მომავალში? მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მოგებაც ხომ არ გინდათ?**

— ვეცდებით, ჩემპიონთა ლიგაში რაც შეიძლება შორს წავიდეთ. ყველა ტურნირში, რომელშიც ვმონაწილეობთ, ჩვენი მიზანი მაქსიმუმის მიღწევაა. ისიც გვესმის, რომ არაერთმა ევროპულმა გრანდმა შემადგენლობა ჩვენზე მეტად გააძლიერა. თუმცა გპირდებით, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ნებისმიერს ვაჯობოთ.

## მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

# ლუიშ ფაბიანუმ დუნგა დაამშვიდა

**ბრაზილიური** პრესა ჩილესთან მატჩამდე წერდა, თუ ეს მატჩი ვერ მოვიგეთ, კარლოს დუნგას ალბათ მთავარი მწვრთნელის პოსტის დატოვებაო მოუწევსო. თუმცა ბრაზილიელებმა მოიგეს, თან ძალიან დამაჯერებლად და დიდი ზეწოლის ქვეშ მყოფმა დუნგამაც შვებით ამოისუნთქა. ცხრილში კი ისეთი სიმჭიდროვეა, რომ ამ ერთი მოგებით „სელესაუ" მეექვსე ადგილიდან მეორეზე ასკუპდა.

ბრაზილია თავიდანვე კარგად გამოიყურებოდა და მე-20 წუთზე ლუიშ ფაბიანუმ რონალდინიოს ჩაწოდებული საჯარიმოს მერე ანგარიშიც გახსნა, რითაც წერტილი დაუსვა „სელესაუს" 318-წუთიან უგოლო სერიას.

მასპინძელთა უმბერტო სუასოს ორი მომენტი კი ჰქონდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. შემდეგ, მარკო ესტრადამ დიეგო წააქცია, მაგრამ რონალდინიოს დარტყმული პენალტი კლაუდიო ბრავომ ჩინებულ ნახტომში მოიგერია.

გარკვეულწილად, ბრაზილიელებს მაინც გაუმართლათ, რადგან შესვენებამდე წამებით ადრე, მაინც შეძლეს მეორე ბურთის გატანა. ლუიშ ფაბიანუმ ამჯერად თავად ვერა, მაგრამ რობინიოს გაატანინა.

მეორე ტაიმის დებიუტში კი პენტაკამპეონები ათი კაცით დარჩნენ, მინდვრიდან კლებერი მიაბრძანეს. თუმცა ჩილემ ეს ვერ შეირგო, 63-ე წუთზე მასპინძლებს ხორხე ვალდივია გაუძევეს ლუიშ ფაბიანუს მოცელვისთვის და მოთამაშეების რაოდენობის მხრივ წონასწორობა აღდგა.

შეხვედრას წერტილი იმავე ლუიშ ფაბიანუმ დაუსვა — 83-ე წუთზე ბრავოს ფეხებშუა გაუტარა ბურთი და 0:3.

სხვათა შორის, მიჯრით უკვე მეხუთე მატჩია, ჩილე ბრაზილიასთან მარცხდება და ამ შეხვედრებში ჯამში 21 გოლი აქვს გაშვებული.

„ჩვენი შანსები გამოვიყენეთ და მოგება დავიმსახურეთ" — მოკლედ აღნიშნა რობინიომ.

**გიორგი ძაძაგაძე**

**სამხრეთ ამერიკა**

**ჩილე 0:3 ბრაზილია**

**0:1 ლუიშ ფაბიანუ (20), 0:2 რობინიო (44), 0:3 ლუიშ ფაბიანუ (83)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარაგვაი | 7 | 4 | 2 | 1 | 14:6 | 14 |
| ბრაზილია | 7 | 3 | 3 | 1 | 11:4 | 12 |
| არგენტინა | 7 | 3 | 3 | 1 | 10:4 | 12 |
| ურუგვაი | 7 | 3 | 2 | 2 | 16:6 | 11 |
| კოლუმბია | 7 | 2 | 4 | 1 | 4:3 | 10 |
| ჩილე | 7 | 3 | 1 | 3 | 9:12 | 10 |
| ეკვადორი | 7 | 2 | 2 | 3 | 10:14 | 8 |
| ვენესუელა | 7 | 2 | 1 | 4 | 9:11 | 7 |
| პერუ | 7 | 1 | 3 | 3 | 4:15 | 6 |
| ბოლივია | 7 | 1 | 1 | 5 | 8:20 | 4 |

**9 სექტემბერი**

**პარაგვაი — ვენესუელა**

**10 სექტემბერი**

**ურუგვაი — ეკვადორი**

**ჩილე — კოლუმბია**

**ბრაზილია — ბოლივია**

**პერუ — არგენტინა**



ლუიშ ფაბიანუ (№9) ჩილეში დუბლით გამოირჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეო და პრაქტიკა

## ზაგრები მაინც სულ სხვაა



თეო უოლკოტმა (№7) ანდორელებს შავი დღე აყარა

**ინგლისის** ნაკრებმა ბარსელონიდან, სადაც შაბათს ანდორას ეთამაშა, სამი ქულის გარდა თავსატეხიც წამოიღო. საქმე ის გახლავთ, რომ ხვალ ინგლისელებს დიდი ტესტი ელით. მათი მეტოქე ხორვატიაა, სწორედ ის, რომელმაც გასულ შემოდგომაზე „უემბლიზე" მოუგო და ევროპის ჩემპიონატს მილმა დატოვა. ჰოდა, ასეთი პრინციპული თამაშის წინ, ინგლისელთა იტალიელ მწვრთნელ ფაბიო კაპელოს ნახევარდაცვის მარჯვენა ფრთაზე საქმე ასარჩევად გაუხდა: თეო უოლკოტმა ანდორელთა წინააღმდეგ თვალნათლივ დაამტკიცა, რომ ამ პოზიციაზე თამაში დაიმსახურა. მოგეხსენებათ, ბარსელონაში არსენალელმა ჭაბუკმა ორივე ტაიმი ითამაშა და, საყოველთაო შეფასებით, საუცხოო იყო.

მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით (ანკი, რა თქმა უნდოდა, ეს ხომ მთელმა მსოფლიომ იცის), უოლკოტი მეტისმეტად ახალგაზრდა და გამოუცდელია, ზაგრებში კი შაბათისაზე გაცილებით დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი და ვინძლო, საამისოდ ვეტერანის თამაში იყოს უპრიანი. და ვინ არის ინგლისის მარჯვენა ფრთაზე გამოცდილი ვეტერანი? რასაკვირველია, დევიდ ბექემი.

მაშ, რას გადაწყვეტს ფაბიო კაპელო? ვის ათამაშებს, ბექემს თუ უოლკოტს?

ანდორელებთან ბექემმა სულ 10 წუთი ითამაშა, მაგრამ ამ დიდი ვარსკვლავისთვის ეს დროც საკმარისი აღმოჩნდა, რათა რამდენიმე თავისი საფირმო პასი შეესრულებინა. და, რასაკვირველია, იმაში, რაც მან მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე თქვა, ვერავინ შეედავება:

„გუნდში გამოცდილი ფეხბურთელების ყოლა დიდი ბედნიერებაა — განაცხადა ბექემმა — აქ საკუთარ თავსა და იმ მოთამაშეებს ვგულისხმობ, რომლებსაც მაღალი დონის შეხვედრებში უთამაშიათ. დიახ, ჩვენ ეს გამოცდილება გვაქვს, რაც ოთხშაბათს ძალიან დაგვჭირდება. მერწმუნეთ, ხორვატებთან ანდორისგან ძალიან განსხვავებული თამაში გველის. ახლა მთავარია, კარგად დავისვენოთ და იმ მატჩს მაქსიმალურად მომზადებულები შევხვდეთ".

ვინ-ვინ და დევიდ ბექემმა მართლა კარგად იცის, რას ნიშნავს ზაგრებში ფეხბურთის თამაში. ის გახლდათ სტივ მაკლარენის იმ გუნდის წევრი, რომელმაც ამ, დაახლოებით ორი წლის წინ, ხორვატიის დედაქალაქში მარცხი იწვნია.

„ძველი თამაშები, რომლებიც ჩვენ ხორვატების წინააღმდეგ ჩავეიტარებია, აღარაფერშუაშია. მათ გახსენებას აზრი არ აქვს. დღეს ერთადერთი რამ არის მთავარი: კარგად თამაში და კარგი შედეგი. რასაკვირველია, ვიცით, რომ ხორვატებს კარგი გუნდი ჰყავთ, მათ განკარგულებაში რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელია და ზაგრებში თამაშიც ძალიან ძნელი რამ გახლავთ, მაგრამ ამიტომაც არის ამ შეხვედრაში მონაწილეობა ძალიან საინტერესო. ეს იქნება სათამაშოდ და სანახავად ჩინებული მატჩი, რომელსაც, იმედი მაქვს, ჩვენ მოვიგებთ".

თუმცა, ჩვენ მაინც უოლკოტს დავუბრუნდეთ, რომელიც თავისი სისწრაფითა და დრიბლინგით ანდორელთა ერთ-ერთი მთავარი მძლეველი გამოდგა. კაპელოს 19 წლის ამომავალი ვარსკვლავისთვის პერსონალურ მეურვეზე ჯიქურ გალაშქრება ჰქონდა დავალებული და ყმაწვილმაც საუცხოოდ გაართვა დავალებას თავი. დიახ, უოლკოტს ჯერჯერობით გამოცდილება აკლია, მაგრამ ხვალ, ხორვატებთან თამაშზე უარს ნამდვილად არ იტყვის.

„დიდ გუნდში ყოფნის გამოცდილება ნამდვილად არ მაკლდა, მაგრამ თამაშის საშუალებას აქამდე მართლაც იშვიათად მაძლევდნენ. ახლა შეფმა მათამაშა და ეს საუცხოო იყო. მწვრთნელს უნდოდა, თამაშის პირველივე წამებიდან მეტოქის მარცხენა მცველზე ლაშქრობა მომეწყო. მან მითხრა, თავიდანვე აჩვენე, რისი გაკეთებაც შეგიძლია და მერე, მთელი თამაშის განმავლობაში შენი შიშით ითამაშებენო. მეც სწორედ ეს გავაკეთე და ყველაფერი მშვენივრად გამოვიდა. ძალიან კი მირტყეს ფეხებში, მაგრამ მე ხომ ყოველთვის ასე მექცევიან. ამას დაჩვეული ვარ და არ მაწუხებს.

რა თქმა უნდა, ძნელია ისეთ გუნდთან თამაში, რომელიც უკან სივრცეს საერთოდ არ ტოვებს, მითუფრო ჩემთვის, რადგან სწორედ მეტოქის მცველებს უკან შეჭრომა მევალებოდა. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი საკუთარი თავის რწმენაზეა დამოკიდებული, ეს კი ამ ბოლო დროს აღარ მაკლია, რადგან ამ სეზონში „არსენალში" სულ ძირითად შემადგენლობაში მათამაშებენ. მე თავგამოდებით ვვარჯიშობ, ხოლო როდესაც ფეხბურთელი თავგამოდებით ვარჯიშობს, ის თავდაჯერებულია. თავდაჯერება ინსტინქტის დონეზეა. მოკლედ, ამწუთას თავს საუცხოოდ ვგრძნობ, დავფრინავ და ოთხშაბათამდე ერთი სული მაქვს".

უოლკოტი ამტკიცებს, რომ კარგად იცის რასაც უნდა ელოდეს ხორვატებისგან, ამიტომ, არ ესმის, რატომ არ უნდა ათამაშოს მწვრთნელმა ძირითად შემადგენლობაში:

„მე შემიძლია წინ თამაში. რა პოზიციაზეც უნდათ, იმ პოზიციაზე მათამაშონ. მაგრამ ამასთან, იმასაც მოგახსენებთ, რომ უკვე საკმაოდ გამოცდილიც ვარ. ანდორასთან მიღებულ გამოცდილებას ოთხშაბათს, ხორვატების წინააღმდეგ გამოვიყენებ. მთავარია, ჩვენ, ყველამ, დავაჯეროთ საკუთარი თავი, რომ კარგად ვითამაშებთ და ყველაფერი გამოვა".

შემდეგ, ჟურნალისტებმა 2006 წელი შეახსენეს, როდესაც ინგლისის ნაკრების მაშინდელმა თავკაცმა სვენ-გორან ერიკსონმა სულ მთლად ახალგაზრდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანა, მაგრამ ერთი წამითაც არ შეუშვა მოედანზე.

„ერთი წამით არ დამიგდია ყური იმისთვის, თუ ვინ რას ამბობდა ამასთან დაკავშირებით. მე ვუსმენდი მხოლოდ მწვრთნელს, გუნდის პერსონალს და ფანებს. მერწმუნეთ, მე ყოველ შეხვედრაში ყურადღების მოკრებას ვცდილობდი და თუ გამიმართლებდა და მათამაშებდნენ, ძალიან ბედნიერი დავრჩებოდი".

დაბოლოს, „ბექჰის" შესახებ. რა უთხრა ვეტერანმა კონკურენტმა ამომავალ ვარსკვლავს ანდორასთან თამაშის შემდეგ?

„მან მითხრა, რომ ჩემი ფეხბურთის ცქერით დიდი სიამოვნება მიიღო. თუ შეძლებ, რომ ითამაშო ისე, როგორც ამას ვარჯიშზე აკეთებ, ძალიან კარგი იქნებაო".

**პაპუნა ძიდია**

# ეს ჯენტლმენი ხუმრობს?

**„მანჩესტერ იუნაიტედმა"** განაცხადა, რომ თანაქალაქელი „მანჩესტერ სიტის" წინადადებას აუცილებლად განიხილავს, წინადადება კი ასეთია: კრიშტიანუ რონალდუს სანაცვლოდ 135 მილიონი გირვანქა!

მოგეხსენებათ, „მანჩესტერ სიტის" ახალი პატრონი ჰყავს, დოქტორი სულეიმან ალ ფაჰიმი, რომლისთვისაც ფული პრობლემა არ არის. ჰოდა, დოქტორმა ალ ფაჰიმმა განაცხადა, რომ ძალიან უნდა, პორტუგალიელი ვარსკვლავი ქალაქ მანჩესტერის ერთი უბნიდან მეორეში, ისტლენდში გადაიყვანოს.

რას ფიქრობს ამის შესახებ „იუნაიტედის" აღმასრულებელი დირექტორი დევიდ გილი? ის ბრძანებს, რომ რონალდუს ტრანსფერის პერსპექტივისა ძალიან ეეჭვება, მაგრამ მაინც დასძენს, რომ ეს მისი კი არა, სერ ალექს ფერგიუსონისა და კლუბის ამერიკელი მეპატრონის, გლეიზერების ოჯახის გადასაწყვეტია.

„არა მგონია „მანჩესტერ სიტის" მაპატრონის განცხადება სერიოზული იყოს. გარდა ამისა, მოგეხსენებათ, ჩვენ საუკეთესო მოთამაშეებს არ ვყიდით, მაგრამ ზოგადად, მე, როგორც აღმასრულებელი შეფი, ნებისმიერ წინადადებას განვიხილავ, როგორც სერ ალექსთან, ასევე კლუბის მეპატრონეებთან, მითუფრო, რომ საუბარია ერთი ადამიანის შესაძენად მეტისმეტად დიდ თანხაზე. რასაკვირველია, რონალდუს ერთი უბნიდან მეორეში წაყვანას წარმოუდგენლად დიდი თანხა დასჭირდება, მაგრამ ფორმალურად ეს კლუბების მეპატრონეთა გადასაწყვეტია. სხვათა შორის, „სიტის" მაპატრონემ იმავე კონტექსტში ტორესი და ფაბრეგასიც მოიხსენია, ასე რომ, ყველაფერს აჯობებს, დავიცადოთ და ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება. ვფიქრობ, ამ საკითხზე ნერვიულობა არ ღირს".

შემდეგ, გილმა განაცხადა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედში" სულაც არ ეპიტნავებათ, თუ როგორ ასახელებს ალ ფაჰიმი იმ ფეხბურთელებს, რომელთა შეძენაც სურს.



„წითელი ეშმაკუნები" ალ ფაჰიმის წინადადების განსახილველად მზად არიან

„მე ამ ჯენტლმენს არასდროს შევხვედრივარ, ასე რომ, არ ვიცი, ის სერიოზულად ლაპარაკობს თუ არა, მაგრამ აშკარაა, რომ თანხები, რომელზეც ის ლაპარაკობს, წარმოუდგენლად დიდია და ამან, შესაძლოა, მთელი ინდუსტრია ყირამალა დააყენოს.

თუ გახსოვთ, როდესაც ალექსმა „სპურზიდან" დიმიტარ ბერბატოვის გადაყვანის სურვილი გამოთქვა, პრემიერლიგაში ერთი ამბავი ატყდა, წინასწარ ასეთი რამ რატომ ითქვაო, „სიტის" მეპატრონე კი მთელ სიას ასახელებს".

შეგახსენებთ, რომ სატრანსფერო სეზონის ბოლო დღეს „სიტიმ" „იუნაიტედს" თავისი მთავარი სამიზნე, ზემოხსენებული ბერბატოვი კინაღამ ცხვირწინ აწაპნა...

თუმცა, ბერბატოვი საბოლოოდ მაინც „იუნაიტედს" დარჩა და ამის შემდეგ, როგორც დევიდ გილი ბრძანებს, საიანვროდ მისი კლუბისგან სხვა სატრანსფერო აქტიურობა მოსალოდნელი არ უნდა იყოს.

ერთადერთი, რაც ინგლისის ჩემპიონს აინტერესებს, კარლოს ტევესის კონტრაქტის საბოლოოდ გამოსყიდვაა.

**პაპუნა ძიდია**


მოგონილი იყო შევჩენკოს მიერ გატანილი პენალტი?

# ალექსანდრ გლები: თქვენ მსაჯი იყიდეთ!

**უკრაინა — ბელარუსის** შესარჩევი მატჩის (1:0) შემდეგ, სტუმართა კაპიტანს ალექსანდრ გლებს უკრაინული ტელეკომპანიის ჟურნალისტმა კომენტარი სთხოვა.

„საკომენტაროს ვერაფერს ვხედავ — ღიმილით მიუგო გლებმა — თქვენ ხომ მსაჯი ნაყიდი გყავთ. ამას თავიდანვე მივხვდი“.

შეგახსენებთ, რომ მასპინძლებმა თამაში ბოლო წუთზე დანიშნული საეჭვო პენალტით მოიგეს. ბურთი ხელზე წაქცეულ სტუმარ ფეხბურთელს მოხვდა, მსაჯმა კი განზრახ ხელით თამაში დაიჟინა და საპენალტე ნიშნულისკენ მიუთითა.

გოლი ანდრეი შევჩენკომ გაიტანა, ხოლო ხსენებული არბიტრი იტალიელი ნიკოლა რიცოლი გახლდათ...

**ვაჟა ხუციშვილი**

# ნაპოლის სასჯელი დაუმძიმეს

**იტალიურ** „ნაპოლის“ ულტრასები სერია A-ს პირველი ტურისას ხულიგნურად და უწესრიგოდ მოიქცნენ, რის გამოც „ვეზუვიანის“ მთელი სეზონის განმავლობაში საგარეო მატჩებში ქომაგები ვეღარ დაუჭერენ მხარს. ახლა კი ნეაპოლელებმა კიდევ ერთი მძიმე დარტყმა მიიღეს.

დისციპლინარულმა კომიტეტმა ყველაფერი კარგად გაანალიზა და გადაწყვიტა, 31 ოქტომბრამდე „სტადიო სან პაოლოზე“ ორი ტრიბუნა დახუროს, რომელზეც კლუბის ულტრასები ბუდობენ ხოლმე. არადა, იქ ყოველთვის საოცარი ატმოსფეროა და „ნაპოლი“ შინ ბრწყინვალედ რომ თამაშობს, დიდწილად სწორედ ქომაგების დამსახურებაა.

ჯერ უცნობია, ზუსტად რა მოხდება მომავალ უქმეებზე, როცა „ვეზუვიანი“ „ფიორენტინას“ უმასპინძლებს, რადგან ბევრი ბილეთი უკვე გაყიდულია.

აი, „პალერმოსთან“, „იუვენტუსსა“ და „რეჯინასთან“ კი, ის ორი ტრიბუნა ნამდვილად ცარიელი იქნება.

ამ გადაწყვეტილებამ ძალიან გააბრაზა კლუბის პრეზიდენტი აურელიო დე ლაურენტისი, რომელიც გადადგომით ისედაც იმუქრებოდა — სასჯელს თუ არ შეგვიმსუბუქებთ და მას უფრო სამართლიანს თუ არ გახდითო.

„კმარა. თუ ასეა საქმე, ყველაფერს ვტოვებ, ფეხბურთში ინვესტიციებს ვწყვეტ და მივდივარ“ — განაცხადა დე ლაურენტისმა.

**გიორგი ძაძამიძე**


აურელიო დე ლაურენტისი

# დეკუმ დინიო გაამხნევა

**პორტუგალიის** ნაკრების ნატურალიზირებული ბრაზილიელი, ნახევარმცველი დეკუ მიიჩნევს, რომ „ბარსელონაში“ მისმა ყოფილმა თანაგუნდელმა რონალდინიომ აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა „მილანში“ გადავიდა და ამ ტრანსფერს არც „როსონერი“ ინანებს.

„რონალდინიოს ოლიმპიადის მერე ველაპარაკე და იგი „მილანში“ ბედნიერია. ბოლო პერიოდში „ბარსელონაში“ მისი ცხოვრება კოშმარს დაემსგავსა, ბევრ ცუდს ამბობდნენ და ასე შემდეგ. დარწმუნებული ვარ, იგი საუკეთესო ფორმას აღიდგენს და კვლავ გააოცებს საფეხბურთო სამყაროს. „ბოლონიასთან“ მის თამაშს ვუყურე, მართალია, „მილანი“ დამარცხდა, მაგრამ დინიომ ბრწყინვალედ ითამაშა. იგი ნელ-ნელა ისევ სიამოვნების მიღებას იწყებს საკუთარი თამაშისგან და ეს უმნიშვნელოვანესია რონალდინიოს დარი მოთამაშისთვის. „მილანი“ ბრწყინვალე გუნდია, ანდრეი შევჩენკოს, კაკას, ალეშანდრე პატოს, პაოლო მალდინისა და კლარენს ზეედორფისნაირი ფეხბურთელების შემხედვარე, მჯერა, „როსონერი“ მომავალ სეზონში სკუდეტოს მოიგებს და ჩემპიონთა ლიგასაც დაუბრუნდება“ — თქვა დეკუმ.

სხვათა შორის, ამ ზაფხულს პორტუგალიელი ვარსკვლავი თავადაც ახლოს იყო იტალიაში გადაბარგებასთან. მას „მილანის“ თანაქალაქელ „ინტერში“ უწინასწარმეტყველებდნენ გადასვლას, სადაც მწვრთნელად ჟოზე მაურინიუა, ვისთან ერთადაც დეკუმ „პორტუში“ ყოფნისას ჩემპიონთა ლიგა მოიგო. თუმცა, საბოლოოდ, იგი „ჩელსიში“ გადავიდა, ასევე თავის ყოფილ მწვრთნელ ლუიშ ფელიპე სკოლარისთან, რომელთან ერთადაც პორტუგალიის ნაკრებში უმუშავია.

„ლონდონელთა წინადადება ყველაზე მიმზიდველი იყო და სკოლარის გეგმებიც ძალიან მომეწონა. ვფიქრობ, დრო დაამტკიცებს, რომ ჩემი, რონალდინიოს და, ერთი სიტყვით, ცოტა ხნის წინანდელი „ბარსელონას“ კრიტიკა მეტისმეტი იყო. ცოტა გაკვირვებულიც კი ვიყავი ამ ყველაფრით. შესაძლოა, ვილაცას ძალიან ეჩქარებოდა განტევების ვაცის ნახვა და პრობლემების სხვებზე დაბრალება. არ დაგავიწყდეთ, ჩვენ ჩემპიონთა ლიგა და ორჯერ პრიმერადივიზიონი მოვიგეთ, თანაც ბრწყინვალე ფეხბურთის ფონზე“ — დასძინა დეკუმ.

**ძოძი ძანდელაძი**



# სიტის სტადიონს უყიდიან

**ინგლისური** „მანჩესტერ სიტის“ ახალი მფლობელები — კომპანია „Abu Dhabi United Group“ მზადაა, სტადიონის მენეჯმენტისთვის 100 მილიონი გირვანქა გამოყოს. ეს არენა, „სთედიუმ ოფ მანჩესტერი“, რომელიც მანჩესტერის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, „ქალაქელებს“ იჯარით აქვთ აღებული და კლუბის ახალ პრეზიდენტ სულეიმან ალ ფაჰიმს მისი გამოსყიდვა სურს. ამასთან, არაბი ბიზნესმენი არენის ტევადობის გაზრდას და სტადიონის გარშემო გასართობი სპორტული ცენტრის გახსნასაც აპირებს.

# კუფურმა დაასრულა

**განის** ნაკრების მცველმა სემიუელ ოსეი კუფურმა კარიერის დასრულება გადაწყვიტა. 32 წლის ფეხბურთელმა ბოლო ნახევარი წელი ამსტერდამის „აიაქსში“ იჯარით გაატარა. კუფურს რუსული „ხიმკი“ და რამდენიმე გერმანული კლუბი ეპატიჟებოდა, მაგრამ აფრიკელმა მათი წინადადებები უარყო.

განელმა მცველმა კარიერის საუკეთესო წლები მიუნხენის „ბაიერნში“ გაატარა, სადაც ბუნდესლიგის ჩემპიონი ექვსჯერ გახდა, ხოლო 2001 წელს ბავარიულ კლუბთან ერთად ჩემპიონთა ლიგაც მოიგო.

# ამაყი ტროხოვსკი

**გერმანული** „ჰამბურგის“ ნახევარმცველი პიოტრ ტროხოვსკი უკმაყოფილოა, რომ მას რაფაელ ვან დერ ვაარტს ადარებენ.

„გარწმუნებთ, რომ რაფაელს არაფრით ვგავარ. ჩვენ სხვადასხვა სათამაშო სტილი გვაქვს. ჩემი გვარია ტროხოვსკი და ვან დერ ვაარტის შემცვლელი ნამდვილად არ ვარ — განმარტავს გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი — კიდევ შემიძლია დავამატო, რომ ორივე ფეხი ერთნაირად ძლიერი მაქვს, ამიტომ ჩემთვის სულერთია, რომელ ფლანგზე ვითამაშებ. მაგალითად, ლიხტენშტაინთან მარცხნივ ვმოქმედებდი და პოდოლსკის ვეხმარებოდი, რუსეთთან მატჩში კი ჩემი საპირისპირო ფლანგზეც მიხილოთ“.

# არდა იანვარში არსენალში?

**შესაძლოა,** 2009 წლის იანვარში თურქული „გალათასარაის“ ფორვარდი არდა თურანი ლონდონის „არსენალის“ რიგებში ვიხილოთ. 21 წლის ფეხბურთელმა ევრო 2008-ზე თურქეთის ნაკრებში კარგი გამოსვლით დაგვამახსოვრა თავი და მისი შეძენის მსურველებში ერთ დროს ტურინის „იუვენტუსი“ და ყაზანის „რუბინიც“ ფიგურირებდნენ.

„მეთოფეები“ მზად არიან, თურანის სანაცვლოდ 15 მილიონ გირვანქას ჩამოვიდნენ, თუმცა, თურქული პრესის ცნობით, სტამბოლური კლუბი თავის ახალგაზრდა მოთამაშეს მხოლოდ 20 მილიონად დათმობს.

# ამბანი და ნიუკასლი

**გუშინ** ლონდონში ინდოელი მილიარდერი ანილ ამბანი ჩაფრინდა, რომელიც პრემიერლიგის კლუბის შეძენას გეგმავს. ალბიონური პრესა იტყობინება, რომ ამბანის შესაძლო შენაძენთა სიაში „ნიუკასლ იუნაიტედიც“ ფიგურირებს, რომელიც ახლა კრიზისშია.

აგვისტოში ინდოელი ბიზნესმენი, რომლის ქონება 21 მილიარდ გირვანქად ფასობს, „კაჭკაჭების“ მფლობელ მაიკლ ეშლის კლუბის აქციათა პაკეტში 400 მილიონ გირვანქას სთავაზობდა, მაგრამ ეს წინადადება უარყვეს. ახლა კი, სავარაუდოდ, ეშლი უფრო დამყოლი იქნება.

**არჩილ ძოგახიძე**

# ოლიმპიური აქლემი

**სერბეთის** ოლიმპიური ნაკრების მცველი სლობოდან რაიკოვიჩი ფიფამ ფეხბურთიდან 12 თვით მოკვეთა. მიზეზი — რაიკოვიჩმა ოლიმპიადაზე არგენტინასთან ჯგუფის მატჩში მსაჯ აბდულა ალ ჰილალის შეაფურთხა.

მაშინ არბიტრმა გააძევა, ფიფამ კი ამბავი ახლა გაარჩია და სერბს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. სასჯელი ვრცელდება ყველა დონეზე, სანაკრებო და საკლუბო მატჩებზე.

სლობოდან რაიკოვიჩი „ჩელსის“ ფეხბურთელია და „ტვენტეშია“ განათხოვრებული. მას განაჩენის გასაჩივრების უფლება დაუტოვეს. სერბი მცველი „ჩელსიმ“ ბელგრადის ოფკ-დან იყიდა, როცა 16 წლის იყო და ამავე კლუბს ერთი სეზონით ათხოვა.

გასული სეზონი რაიკოვიჩმა პსვ-ში გაატარა და მხოლოდ 13 მატჩი ითამაშა, ამ ზაფხულს კი სტივ მაკლარენის „ტვენტეში“ გადავიდა.

ეროვნული ნაკრების მაისურა კი რაიკოვიჩს სამჯერ მოურგია.

**ვაჟა ხუციშვილი**


სლობოდან რაიკოვიჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვიეირა ბრუნდება

**საფრანგეთის** ნაკრებისა და მილანის „ინტერის" ნახევარმცველმა პატრიკ ვიეირამ ბარძაყის ტრავმა მოირჩინა და შესაძლოა, უკვე ამ უქმეებზე სერია A-ს მეორე ტურში თავის კლუბს „კატანიასთან" შეხვედრაში დაეხმაროს. „ამჟამად თავს ბევრად უკეთესად ვგრძნობ და ვიმედოვნებ, რომ მოედანზე მალე გამოვალ. ჩემი უახლოესი მიზანია, „ინტერის" წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანო" — განაცხადა ვიეირამ.

## კუმასი მოსკოვში არ ჩავა

**უელსის** ნაკრებისა და ინგლისური „უიგანის" ნახევარმცველმა ჯეისონ კუმასმა დაადასტურა, რომ ვერ შეძლებს მოსკოვში რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ თამაშს. მიზეზად კოჭის ტრავმა სახელდება: „აზერბაიჯანის წინააღმდეგ რომ მეთამაშა, ამისთვის სამი სხვადასხვა ნემსის გაკეთება მომიხდა, ახლა კი იგივეს გამეორებამ, შესაძლოა, უფრო რთულ შედეგებამდე მიმიყვანოს" — აღნიშნა ფეხბურთელმა.

## კაჭკაჭი თერიმი?

**„ნიუკასლ იუნაიტედიდან"** კევინ კიგანის წასვლის შემდეგ „კაჭკაჭების" დამრიგებლის თანამდებობის დაკავების მთავარ კანდიდატად გუსტავო პოიეტი განიხილებოდა, ახლა კი ურუგვაელს ფათიჰ თერიმის სახით კონკურენტი გამოუჩნდა. ეს ინფორმაცია თურქეთის ნაკრების თავკაცის აგენტმა მელ გოლდბერგმა გაახმაურა: „ყველა მწვრთნელს კლუბში მუშაობა სურს და თერიმიც გამონაკლისი არ გახლავთ. „ნიუკასლი" დიდი კლუბია, მას ბევრი გულშემატკივარი ჰყავს და იმედია, ხელმძღვანელობა სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს".

## რიოს თამაში სათუოა

**ინგლისის** ნაკრების მცველი რიო ფერდინანდი თავის გუნდს ეგებ 10 სექტემბერს, ხორვატიასთან შეხვედრაშიც ვერ დაეხმაროს. „მანჩესტერ იუნაიტედის" მცველმა ზურგის ტრავმის გამო ანდორასთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი უკვე გამოტოვა, რომელშიც ალბიონელებმა 2:0 გაიმარჯვეს. რაც შეეხება ხორვატებთან თამაშს, რიო ზურგის არეში ტკივილებს ჯერ კიდევ გრძნობს, რის გამოც 10 სექტემბერს მოედანზე მისი გასვლა ბოლო მომენტამდე კითხვის ნიშნის ქვეშ იქნება.

## ჰაინცე დამნაშავეა

**არგენტინის** ნაკრების მცველმა გაბრიელ ჰაინცემ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში პარაგვაისთან წარუმატებელი შეხვედრის შემდეგ მთელი პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო: „ეს ჩემი შეცდომა იყო და ამას ვაღიარებ. მთელ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ. არ ვიცი, მომავალში რა მელის, მაგრამ მწვრთნელის ყველა გადაწყვეტილებას დავეთანხმები. ვიცი, რომ ამას ყველა ამბობს, მაგრამ ფეხბურთი მეორე შანსს მართლ ყველას აძლევს" — თქვა ფეხბურთელმა. შეგახსენებთ, რომ ჰაინცემ პარაგვაისთან შეხვედრის მე-12 წუთზე ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

## პარკი შანხაის გამოტოვებს

**„მანჩესტერ იუნაიტედის"** სამხრეთკორეელი ნახევარმცველი ჯი სუნ პარკი ჩრდილოეთ კორეასთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ვერ მიიღებს მონაწილეობას. ფეხბურთელმა მუხლის ტრავმა ვერ მოირჩინა და მანკუნიანელთა განკარგულებაში დაბრუნდა. ფიფას გადაწყვეტილებით, პოლიტიკური მიზეზების გამო, ორ კორეულ სახელმწიფოს შორის მატჩი 10 სექტემბერს შანხაიში გაიმართება.

## ტრავმირებული ესიენი

**ლონდონის** „ჩელსის" განელმა ნახევარმცველმა მიკაელ ესიენმა ლიბიასთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მუხლის ტრავმა მიიღო და „არისტოკრატთა" ბანაკში გვიან საღამოს დაბრუნდა. ახლა 25 წლის ფეხბურთელს საგულდაგულო სამედიცინო შემოწმება უნდა ჩაუტარდეს, რის შემდეგაც სიტუაცია უფრო ნათელი გახდება. წინასწარი გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ესიენი დაახლოებით ერთ თვეს დაისვენებს.

## კითხვის ნიშანი დომენეკს

**10 სექტემბერს** სერბეთთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საფრანგეთის ნაკრების დამრიგებელ რაიმონ დომენეკისთვის, შესაძლოა, უკანასკნელი აღმოჩნდეს ამ თანამდებობაზე. ავსტრიასთან 1:3 წაგებული შეხვედრის შემდეგ, კიდევ ერთი წარუმატებლობა ფრანგ სპეციალისტს, სავარაუდოდ, სამუშაოს დააკარგვინებს.

## ფოგთსი გაქცევაზეა

**აზერბაიჯანის** ფეხბურთის ფედერაცია ნაკრების მწვრთნელ ბერტი ფოგთსს ძალიან მაღალ მიზნებს უსახავს, რაც გერმანელი სპეციალისტის გაკვირვებას იწვევს. „ისინი მხოლოდ საკუთარ საფეხბურთო ლიგაში ერკვევიან, საერთაშორისო ფეხბურთზე კი არანაირი წარმოდგენა არ აქვთ. ხანდახან საკუთარ თავს ვეკითხები: ნუთუ ისინი მართლა ფიქრობენ, რომ ჩვენ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გავალთ? ასეთ მომენტებში ჩემოდნების ჩალაგების და სახლში დაბრუნების სურვილი მიჩნდება" — გულისტკივილი გამოთქვა ფოგთსმა.

**არჩილ კობახიძე**

# მბია ძალით დატოვეს



**ფრანგული** „რენის" კამერუნელმა ნახევარმცველმა სტეფან მბიამ დაადასტურა, რომ სხვა კლუბებთან ერთად მისით სერიოზულად იყო დაინტერესებული ლონდონის „არსენალიც", მაგრამ „რენმა" არ გაყიდა, რითაც 22 წლის აფრიკელი უკმაყოფილოა.

„ყველამ იცის, რომ ჩემით რამდენიმე კლუბი იყო დაინტერესებული. ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე „არსენალი" გამოვიდა კონტაქტზე, მაგრამ „რენმა" არ გამიშვა. საფრანგეთში ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ დავრჩი. ხელფასის მომატებას დამპირდნენ, მაგრამ მაინც წასვლა მინდა, ინგლისის პრემიერლიგაში თამაშზე ვოცნებობ. თუმცა ამჟამად „რენის" ფეხბურთელი ვარ და ამ გუნდისთვის მაქსიმალურად დავიხარჯები, მაგრამ იანვარში, როცა სატრანსფერო ფანჯარა ისევ გაიხსნება, კლუბის გამოცვლას არ გამოვრიცხავ" — თქვა მბიამ.

**კოკი კანდელაკი**

*ტოტალიზატორი*

# 1X2 ამფსონეზი

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

| კოდი | წყვილი | შედეგი | კოეფ-ტი | სისტ |
| --- | --- | --- | --- | --- |

— სერიალების სცენარები აქვთ ტუფტა, თორე თამაშებზე იმენა დახვეწილ სცენარებს წერენ.

— ვისზე გაქ ეჭვი?

— არგენტინაზე. პროსტაამც, ეს ეჭვიც აღარაა, ტო! იმენა დადგმულია, თავისი რეჟისორით და მხატვრით. ერთი გამნათებელიღა აკლია და ცვეტში თეატრია. ოღონდ, ყომარ-თეატრი.

— მგონი, შენ უკვე ურევ.

— კიდე მე ვურევ, ტო?! მე კი არა, გაბრიელა ურევს და კარლიტო აჩმახებს, ალფიო ბასილე კიდე, თავს ისულელებს. მამენტ, ვითომ არ იცის, არადა მაგისი ნაჩალიჩარი თამაში იყო. არტისტები არიან, ტო, არ-ტის-ტე-ბი!

— ეგეთი თამაშები არ კეთდება, ძმაო! დამიჯერე, რა! ეხლა შენ ამბობ, რო არგენტინამ პარაგვაის ზაკაზად არ მოუგო? ეგ რო გაუგონ ბალეშიკებმა, ხო გადაახე...

— როგორ არ კეთდება, ტო! შენ დღევანდელი ფუტბოლი კოჟანი მიაჩის ვსესაიუზნი ტურნირი ხო არა გგონია?!

იმენა ეგეთი თამაშებია ისე ტონკად ჩაწყობილი, რო... თარაზოშია გასწორებული, საიდანაც არ უნდა შეხედო, ნატური გეჩვენება, არადა, ამ დროს ნაყომარებია.

— თუ ეგრე თარაზოშია გასწორებული, შენ როგორ ხვდები, რო ჩაწყობილი იყო?

— როგორ და ხელოსნის თვალი ოხერია. მაგ საქმეში კუში მაქ მოჭრილი და ყნოსვაც დარეგულირებული.

მამენტ– ტელევიზორში თამაშს რო ვაღივერებ, თუ ნაჩალიჩარია, სუნი მოდის და ვხვდები, რომ რაღაც სუფთად არ უნდა იყოს.

— არგენტინა-პარაგვაიც ეგრე იყნოსე?

— იასნია, ტო! პროსტაამც, შენ თვითონ ნახე... ჰაინცეს თავის კარში გოლი გააქვს, მეკარე აბონდანსიერი ვითომ ტრავმას იღებს და ცვლიან, ტევესი ნახევარ საათში სუდიას თავს აძევებინებს და ათნი რჩებიან.

მერე არგენტინის ტრენერი ალფიო ბასილე იტყვის, რო აი, და ათნი და, მეკარე და, ტევესი და... კაროჩე, რა! ზღაპრებს მოყვება, ამ დროს კიდე თვითონ, იმენააა... ვისაც გინდა გავუმაზავ, ჯიბეში ბილეთი უდევს, სადაც პარაგვაის იქსდვა უწერია და 12 ათასი დოლარი აქვს გამაზული.

— თორმეტი რა პონტია?

— სამი თავისი და სამ-სამიც — აბონდანსიერის, ჰაინცეს და ტევესის წილია.

— შენ იმენა, მარტო ტელევიზორიდან მოგდის ჩაწყობილი თამაშების სუნი?

— რა არი, რო?

— აბა ერთი ამ პროგრამს დასუნე, ყატარი-ბაჰრეინის თამაშს ნაყომარების სუნი არ ასდის?

**კუში კოშმარია**

ჩემი ბილეთი:

001. არაბეთის გაერთიანებული საემიროები — საუდის არაბეთი

შედეგი: გაიტანს ხუთივე

სავარაუდო მოგება: ბარელნახევარი ნავთობი ლარნახევრად

მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ,

მართლა ეწერა თუ არა რობერტო დონადონის

ქვითარში კვიპროსის აძინიქსი იტალიასთან.

114140 *

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **13 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:30 | 1 | სიტი-ჩელსი | 4.00 | 3.20 | 1.85 | 1.77 | 1.26 | 1.17 |
| 15:45 | 2 | ლივერპული-მანჩესტერი | 2.80 | 3.20 | 2.40 | 1.49 | 1.29 | 1.37 |
| 18:00 | 3 | ფულემი-ბოლტონი | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 18:00 | 4 | ბლექბერნი-არსენალი | 4.50 | 3.20 | 1.80 | 1.87 | 1.28 | 1.15 |
| 18:00 | 5 | უიგანი-სანდერლენდი | 2.05 | 3.20 | 3.35 | 1.24 | 1.27 | 1.63 |
| 18:00 | 6 | პორტსმუთი-მიდლსბრო | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 18:00 | 9 | ვესტ ბრომვიჩი-ვესტ ჰემი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 18:00 | 10 | ნიუკასლი-ჰალი | 1.70 | 3.40 | 5.00 | 1.13 | 1.26 | 2.02 |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 16:30 | 8 | სტოკი-ევერტონი | 3.20 | 3.20 | 2.15 | 1.60 | 1.28 | 1.28 |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 7 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 1.95 | 3.30 | 3.70 | 1.22 | 1.27 | 1.74 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **11 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 515 | ლეი-რაშდენი | 4.20 | 3.40 | 1.70 | 1.87 | 1.21 | 1.13 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **12 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 108 | აინტრახტი-კარლსრუე | 1.90 | 3.30 | 4.00 | 1.20 | 1.28 | 1.80 |
| | | **13 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 100 | ვერდერი-კოტბუსი | 1.25 | 5.70 | 10.00 | 1.02 | 1.11 | 3.63 |
| 17:30 | 101 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 2.05 | 3.30 | 3.50 | 1.26 | 1.29 | 1.69 |
| 17:30 | 102 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 2.40 | 3.20 | 2.80 | 1.37 | 1.29 | 1.49 |
| 17:30 | 103 | დორტმუნდი-შალკე | 2.55 | 3.20 | 2.65 | 1.41 | 1.29 | 1.44 |
| 17:30 | 104 | ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი | 3.00 | 3.20 | 2.30 | 1.54 | 1.30 | 1.33 |
| 17:30 | 105 | კიოლნი-ბაიერნი | 5.30 | 3.60 | 1.60 | 2.14 | 1.22 | 1.10 |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 106 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| 19:00 | 107 | ბოხუმი-არმინია | 1.95 | 3.30 | 3.80 | 1.22 | 1.28 | 1.76 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **12 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 111 | ალემანია-ინგოლშტადი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 20:00 | 115 | კაიზერსლაუტერნი-შტ.პაული | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 20:00 | 117 | ობერჰაუზენი-ალენი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 109 | ჰანზა-მაინცი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 16:00 | 110 | ფიურტი-კობლენცი | 1.75 | 3.30 | 4.40 | 1.14 | 1.25 | 1.88 |
| 16:00 | 112 | ვეენი-ნიურნბერგი | 2.90 | 3.20 | 2.30 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| 16:00 | 114 | ოსნაბრიუკი-ფრანკფურტი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 16:00 | 116 | აუგსბურგი-ფრაიბურგი | 2.75 | 3.20 | 2.40 | 1.47 | 1.28 | 1.37 |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:15 | 113 | მიუნხენი 1860-დუისბურგი | 2.55 | 3.10 | 2.60 | 1.39 | 1.28 | 1.41 |
| | | **ავსტრია. ცენტრი** | | | | | | |
| | | **9 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 585 | სპიტალი-ფელდკირხენი | 2.50 | 3.10 | 2.45 | 1.38 | 1.23 | 1.36 |
| | | **ავსტრია. აღმოსავლეთი** | | | | | | |
| | | **9 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 586 | შტეგერსბახი-ვინერბერგერი | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 21:30 | 587 | ვინერი-ნოიხიდლი | 1.55 | 3.50 | 4.90 | 1.07 | 1.17 | 2.04 |
| | | **10 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 588 | ჰორნი-ვიურმლა | 1.60 | 3.50 | 4.65 | 1.09 | 1.19 | 1.99 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **13 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 147 | პალერმო-რომა | 3.70 | 3.10 | 2.00 | 1.68 | 1.29 | 1.21 |
| 22:30 | 148 | ინტერი-კატანია | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 141 | ლეჩე-კიევო | 2.60 | 2.90 | 2.90 | 1.37 | 1.37 | 1.45 |
| 17:00 | 142 | ბოლონია-ატალანტა | 2.25 | 2.90 | 3.40 | 1.26 | 1.35 | 1.56 |
| 17:00 | 143 | რეჯინა-ტორინო | 2.50 | 2.80 | 3.00 | 1.32 | 1.36 | 1.44 |
| 17:00 | 144 | სიენა-კალიარი | 1.95 | 3.00 | 4.25 | 1.18 | 1.33 | 1.75 |
| 17:00 | 145 | ლაციო-სამპდორია | 2.10 | 2.90 | 3.75 | 1.21 | 1.34 | 1.63 |
| 22:30 | 146 | იუვენტუსი-უდინეზე | 1.50 | 3.50 | 7.00 | 1.04 | 1.23 | 2.33 |
| 17:00 | 149 | ნაპოლი-ფიორენტინა | 2.40 | 2.90 | 3.00 | 1.31 | 1.33 | 1.47 |
| 17:00 | 150 | ჯენოა-მილანი | 4.50 | 3.10 | 1.85 | 1.83 | 1.31 | 1.15 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 182 | ბარსელონა-რასინგი | 1.35 | 4.50 | 8.00 | 1.03 | 1.15 | 2.88 |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 180 | რეალი-ნუმანსია | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 19:00 | 181 | მალაგა-ბილბაო | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 23:00 | 183 | ალმერია-ვალენსია | 2.75 | 3.10 | 2.50 | 1.45 | 1.30 | 1.38 |
| 00:00 | 184 | სევილია-სპორტინგი | 1.35 | 4.40 | 9.00 | 1.03 | 1.17 | 2.95 |
| 19:00 | 185 | ხეტაფე-ბეტისი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 19:00 | 186 | მალიორკა-ოსასუნა | 2.05 | 3.20 | 3.35 | 1.24 | 1.27 | 1.63 |
| 19:00 | 187 | უელვა-ესპანიოლი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 19:00 | 188 | ვილიარეალი-დეპორტივო | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| 19:00 | 189 | ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 2.90 | 3.20 | 2.30 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 204 | ოსერი-ნანსი | 2.40 | 2.90 | 3.00 | 1.31 | 1.33 | 1.47 |
| 23:00 | 205 | ბორდო-მარსელი | 2.30 | 2.90 | 3.25 | 1.28 | 1.34 | 1.53 |
| 22:00 | 206 | ლე მანი-ტულუზი | 1.85 | 3.00 | 4.40 | 1.14 | 1.30 | 1.78 |
| 22:00 | 207 | ლიონი-ნიცა | 1.40 | 3.80 | 8.50 | 1.02 | 1.20 | 2.62 |
| 22:00 | 208 | მონაკო-ლორიანი | 2.00 | 3.10 | 3.60 | 1.21 | 1.28 | 1.66 |
| 22:00 | 209 | რენი-ლე ავრი | 1.70 | 3.20 | 5.50 | 1.11 | 1.29 | 2.02 |
| 22:00 | 210 | ვალენსიენი-გრენობლი | 2.15 | 2.90 | 3.45 | 1.23 | 1.32 | 1.57 |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 201 | კაენი-სტ.ეტიენი | 2.40 | 2.90 | 2.95 | 1.31 | 1.32 | 1.46 |
| 23:00 | 202 | პსჟ-ნანტი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 19:00 | 203 | სოშო-ლილი | 2.35 | 2.90 | 3.10 | 1.29 | 1.33 | 1.49 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 211 | ბასტია-ამიენი | 1.80 | 3.00 | 4.30 | 1.12 | 1.26 | 1.76 |
| 20:00 | 212 | ბრესტი-აიაჩო | 2.15 | 2.90 | 3.25 | 1.23 | 1.29 | 1.53 |
| 20:00 | 213 | შატორუ-გენგამი | 2.15 | 2.90 | 3.35 | 1.23 | 1.30 | 1.55 |
| 20:00 | 214 | კლერმანი-ტრუა | 2.30 | 2.90 | 3.10 | 1.28 | 1.32 | 1.49 |
| 20:00 | 215 | დიჟონი-მონპელიე | 2.50 | 2.90 | 2.85 | 1.34 | 1.33 | 1.43 |
| 20:00 | 216 | ლანსი-მეცი | 2.00 | 3.00 | 3.60 | 1.20 | 1.28 | 1.63 |
| 20:00 | 217 | ნიმი-ტუარი | 2.15 | 3.00 | 3.20 | 1.25 | 1.28 | 1.54 |
| 20:00 | 218 | რეიმსი-ბულონი | 2.40 | 2.90 | 2.80 | 1.31 | 1.29 | 1.42 |
| 20:00 | 219 | სედანი-სტრასბური | 2.45 | 2.90 | 2.90 | 1.32 | 1.32 | 1.45 |
| 20:00 | 220 | ვანი-ანჟე | 2.20 | 2.90 | 3.25 | 1.25 | 1.31 | 1.53 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 230 | ბრიუგე-დენდერი | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |
| 22:00 | 232 | მონსი-ანდერლეხტი | 4.90 | 3.50 | 1.60 | 2.04 | 1.20 | 1.09 |
| 22:00 | 235 | ლოკერენი-ვესტერლო | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 22:00 | 237 | მუსკრონი-გენტი | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| 22:00 | 238 | ბეერსხოტი-რუზელარე | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| | | **საბერძნეთი. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **13 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 280 | პანათინაიკოსი-პანთრაკიკოსი | 1.15 | 6.50 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.33 |
| 17:45 | 281 | ქსანთი-ოლიმპიაკოსი | 5.00 | 3.50 | 1.60 | 2.05 | 1.21 | 1.09 |
| 22:15 | 283 | პანსერაიკოსი-პანიონიოსი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 17:45 | 284 | ირაკლისი-ოფი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 277 | ლევადიაკოსი-ტრასივოულოსი | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 20:00 | 278 | ერგოტელისი-არისი | 2.80 | 3.10 | 2.40 | 1.47 | 1.29 | 1.35 |
| 20:00 | 279 | ასტერას ტრიპოლისი-ლარისა | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 22:15 | 282 | პაოკ-აეკ | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **13 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 347 | ოლბორგი-ორჰუსი | 1.65 | 3.60 | 4.90 | 1.13 | 1.23 | 2.07 |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 344 | კოპენჰაგენი-ნორდსიელანდი | 1.30 | 4.80 | 9.50 | 1.02 | 1.14 | 3.18 |
| 18:00 | 345 | ჰორსენსი-რანდერსი | 2.80 | 3.40 | 2.30 | 1.53 | 1.26 | 1.37 |
| 16:00 | 346 | მიდტიულანდი-ესბიერგი | 1.55 | 3.70 | 6.00 | 1.09 | 1.23 | 2.28 |

**შესაძლოა ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 348 | ვეილე-ბრიონდბიუ | 3.90 | 3.50 | 1.85 | 1.84 | 1.25 | 1.21 |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 343 | ოდენსე-სიონდერიისკე | 1.25 | 5.10 | 12.00 | 1.00 | 1.13 | 3.57 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 362 | ტრომსიო-ბოდიო გლიმტი | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 22:00 | 357 | ფრედრიკსტადე-რუსენბორგი | 2.50 | 3.30 | 2.60 | 1.42 | 1.27 | 1.45 |
| 20:00 | 358 | მოლდე-ლილესტრიომი | 2.45 | 3.30 | 2.75 | 1.40 | 1.29 | 1.50 |
| 20:00 | 359 | ჰამ კამი-ალესუნდი | 2.05 | 3.30 | 3.45 | 1.26 | 1.28 | 1.68 |
| 20:00 | 360 | სტაბეკი-სტრიომსგოდსეტი | 1.40 | 4.30 | 7.00 | 1.05 | 1.16 | 2.66 |
| 20:00 | 361 | ბრანი-ვიკინგი | 2.05 | 3.30 | 3.40 | 1.26 | 1.27 | 1.67 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 14:30 | 372 | აიკ-გიოტებორგი | 2.30 | 3.30 | 2.90 | 1.35 | 1.28 | 1.54 |
| 18:00 | 374 | მალმიო-ჰალმსტადი | 1.95 | 3.40 | 3.60 | 1.23 | 1.26 | 1.74 |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 373 | სუნდსვალი-ელფსბორგი | 3.60 | 3.40 | 1.95 | 1.74 | 1.26 | 1.23 |
| 19:00 | 376 | ჰამარბი-კალმარი | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| 19:00 | 377 | ნორჩიოპინგი-ჰელსინგბორგი | 4.00 | 3.40 | 1.85 | 1.83 | 1.26 | 1.19 |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 378 | გაის-იურგორდენი | 2.40 | 3.20 | 2.80 | 1.37 | 1.29 | 1.49 |
| 21:00 | 379 | ლიუნგსკილე-ტრელებორგი | 2.40 | 3.20 | 2.80 | 1.37 | 1.29 | 1.49 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 9 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 380 | ვესბი-ენჩიოპინგი | 1.65 | 3.70 | 4.60 | 1.14 | 1.21 | 2.05 |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 383 | იორგრიტე-ლანდსკრონა | 1.55 | 3.80 | 5.70 | 1.10 | 1.21 | 2.27 |
| | | მჩ2010. შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 10 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 47 | რუსეთი-უელსი | 1.30 | 4.40 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.89 |
| 20:00 | 48 | აზერბაიჯანი-ლიხტენშტეინი | 1.35 | 4.00 | 9.50 | 1.00 | 1.18 | 2.81 |
| 20:30 | 49 | ფარერები-რუმინეთი | 25.00 | 10.00 | 1.05 | 7.14 | 1.00 | 1.00 |
| 21:00 | 51 | ანდორა-ბელარუსი | 12.00 | 5.60 | 1.17 | 3.81 | 1.06 | 1.00 |
| 19:00 | 53 | ყაზახეთი-უკრაინა | 7.40 | 3.80 | 1.45 | 2.51 | 1.21 | 1.04 |
| 21:00 | 54 | ჩერნოგორია-ირლანდია | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 21:30 | 55 | მოლდოვა-ისრაელი | 3.25 | 3.20 | 2.10 | 1.61 | 1.27 | 1.26 |
| 21:30 | 56 | ლიტვა-ავსტრია | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 21:30 | 57 | ფინეთი-გერმანია | 7.20 | 3.70 | 1.45 | 2.44 | 1.20 | 1.04 |
| 22:00 | 58 | თურქეთი-ბელგია | 1.55 | 3.50 | 5.80 | 1.07 | 1.22 | 2.18 |
| 22:15 | 59 | ლატვია-საბერძნეთი | 3.40 | 3.40 | 1.95 | 1.70 | 1.23 | 1.23 |
| 22:15 | 60 | ბოსნია-ესტონეთი | 1.55 | 3.50 | 5.70 | 1.07 | 1.21 | 2.16 |
| 22:15 | 61 | შვედეთი-უნგრეთი | 1.40 | 3.80 | 7.50 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| 22:30 | 62 | შვეიცარია-ლუქსემბურგი | 1.03 | 11.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 7.63 |
| 22:30 | 64 | სან მარინო-პოლონეთი | 30.00 | 12.00 | 1.01 | 8.57 | 1.00 | 1.00 |
| 22:30 | 66 | მაკედონია-ჰოლანდია | 6.20 | 3.90 | 1.45 | 2.39 | 1.17 | 1.05 |
| 22:30 | 68 | ისლანდია-შოტლანდია | 2.90 | 3.20 | 2.30 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| 22:45 | 69 | ჩრდ ირლანდია-ჩეხეთი | 4.20 | 3.20 | 1.85 | 1.81 | 1.28 | 1.17 |
| 22:45 | 70 | სლოვენია-სლოვაკეთი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 22:45 | 71 | ალბანეთი-მალტა | 1.35 | 4.30 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.79 |
| 22:45 | 72 | ხორვატია-ინგლისი | 2.40 | 3.10 | 2.80 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| 21:00 | 73 | საფრანგეთი-სერბეთი | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| 23:45 | 74 | პორტუგალია-დანია | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 23:45 | 75 | ესპანეთი-სომხეთი | 1.10 | 7.80 | 18.00 | 1.00 | 1.03 | 5.44 |
| 04:00 | 531 | პარაგვაი-ვენესუელა | 1.40 | 4.00 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.60 |
| 04:10 | 538 | აშშ-ტრინიდადი და ტობაგო | 1.30 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 3.00 |
| 23:30 | 544 | სურინამი-სალვადორი | 2.15 | 3.40 | 2.75 | 1.31 | 1.20 | 1.52 |
| 16:00 | 546 | ზამბია-ტოგო | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 16:00 | 548 | ჩრდ კორეა-სამ კორეა | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 19:30 | 549 | უზბეკეთი-ავსტრალია | 2.45 | 3.00 | 2.50 | 1.34 | 1.23 | 1.36 |
| 22:15 | 550 | საამიროები-ს არაბეთი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 23:00 | 551 | ყატარი-ბაჰრეინი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 02:40 | 530 | ჩილე-კოლუმბია | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| 00:40 | 533 | ურუგვაი-ეკვადორი | 1.50 | 3.40 | 6.25 | 1.04 | 1.20 | 2.20 |
| 04:50 | 534 | ბრაზილია-ბოლივია | 1.10 | 7.50 | 18.00 | 1.00 | 1.03 | 5.29 |
| 06:30 | 536 | პერუ-არგენტინა | 6.00 | 3.70 | 1.50 | 2.28 | 1.20 | 1.06 |
| 05:00 | 540 | მექსიკა-კანადა | 1.30 | 4.10 | 9.50 | 1.00 | 1.14 | 2.86 |
| 05:30 | 542 | ჰონდურასი-იამაიკა | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 06:00 | 543 | გვატემალა-კუბა | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 01:55 | 545 | ჰაიტი-კოსტა რიკა | 4.00 | 3.20 | 1.80 | 1.77 | 1.24 | 1.15 |
| 02:00 | 547 | ჩადი-სუდანი | 4.50 | 3.40 | 1.65 | 1.93 | 1.20 | 1.11 |
| | | უეფა. ეჩ შესარჩევი მატჩები(21) | | | | | | |
| | | 9 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 564 | ჩერნოგორია21-ბულგარეთი21 | 2.05 | 2.90 | 3.40 | 1.20 | 1.27 | 1.56 |
| 20:00 | 565 | მოლდავეთი21-ლუქსემბურგი21 | 1.03 | 9.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 6.61 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 566 | მოლდავეთი21-ლუქსემბურგი21 | 0:1 | 1.00 | | | | |
| 21:00 | 567 | ლატვია21-ბელარუსი21 | 5.50 | 3.30 | 1.55 | 2.06 | 1.20 | 1.05 |
| 21:00 | 568 | ბელგია21-კვიპროსი21 | 1.25 | 5.00 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.14 |
| 21:00 | 569 | ბოსნია21-საფრანგეთი21 | 8.50 | 5.00 | 1.25 | 3.14 | 1.08 | 1.00 |
| 21:00 | 570 | გერმანია21-ისრაელი21 | 1.40 | 3.70 | 7.20 | 1.01 | 1.17 | 2.44 |
| 21:00 | 571 | საბერძნეთი21-ფარერები21 | 1.04 | 9.00 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 6.20 |
| 21:00 | 573 | დანია21-შოტლანდია21 | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 21:00 | 574 | ისლანდია21-სლოვაკეთი21 | 3.00 | 3.10 | 2.15 | 1.52 | 1.25 | 1.26 |
| 21:00 | 575 | ესპანეთი21-რუსეთი21 | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 21:00 | 576 | ნორვეგია21-მაკედონია21 | 1.45 | 3.60 | 6.25 | 1.03 | 1.17 | 2.28 |
| 21:00 | 577 | რუმინეთი21-უელსი21 | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 21:00 | 578 | სლოვენია21-ფინეთი21 | 4.50 | 2.90 | 1.80 | 1.76 | 1.28 | 1.11 |
| 21:00 | 579 | თურქეთი21-სომხეთი21 | 1.25 | 4.90 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.10 |
| 21:00 | 580 | ხორვატია21-იტალია21 | 2.75 | 2.70 | 2.65 | 1.36 | 1.34 | 1.33 |
| 21:00 | 581 | ჩეხეთი21-უკრაინა21 | 1.45 | 3.80 | 5.90 | 1.04 | 1.16 | 2.31 |
| 21:00 | 582 | შვეიცარია21-პოლანდია21 | 2.60 | 3.10 | 2.40 | 1.41 | 1.24 | 1.35 |
| 21:00 | 583 | პორტუგალია21-ირლანდია21 | 1.15 | 6.00 | 11.50 | 1.00 | 1.04 | 3.94 |
| | | 10 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 584 | ალბანეთი21-აზერბაიჯანი21 | 1.40 | 3.70 | 6.90 | 1.01 | 1.16 | 2.40 |
| | | საფრანგეთი. თასი | | | | | | |
| | | 9 სექტემბერი | | | | | | |
| 22:00 | 589 | ლანსი-სედანი | 1.70 | 3.20 | 5.00 | 1.11 | 1.26 | 1.95 |
| 22:00 | 590 | მეცი-რეიმსი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 22:00 | 591 | ტრუა-ანჟე | 2.05 | 3.00 | 3.60 | 1.21 | 1.30 | 1.63 |
| 22:00 | 592 | აიაჩო-მონპელიე | 2.25 | 3.00 | 3.10 | 1.28 | 1.30 | 1.52 |
| 22:00 | 607 | შატორუ-ნიმი | 2.00 | 3.00 | 3.50 | 1.20 | 1.27 | 1.61 |
| 22:00 | 608 | ვანი-ამიენი | 2.05 | 2.90 | 3.45 | 1.20 | 1.28 | 1.57 |
| 22:00 | 609 | კრეტეი-ბრესტი | 2.65 | 2.90 | 2.55 | 1.38 | 1.29 | 1.35 |
| 22:00 | 610 | გენგამი-გენიონი | 1.75 | 3.10 | 4.50 | 1.11 | 1.25 | 1.83 |
| 23:00 | 611 | სტრასბური-ბასტია | 1.75 | 3.20 | 4.40 | 1.13 | 1.25 | 1.85 |
| 23:00 | 612 | ბულონი-კლერმონი | 1.95 | 3.10 | 3.65 | 1.19 | 1.27 | 1.67 |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი | | | | | | |
| | | 9 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 506 | ვიტკოვიცე-ბოლესლავი | 1.60 | 4.10 | 3.60 | 1.15 | 1.10 | 1.91 |
| 19:30 | 507 | პლზენი-ზლინი | 1.60 | 4.20 | 3.80 | 1.15 | 1.12 | 1.99 |
| 19:30 | 509 | ბუდეიოვიცე-სლავია | 1.90 | 4.00 | 2.70 | 1.28 | 1.11 | 1.61 |
| 19:30 | 510 | ზნოიმო-ტრჟინეცი | 2.05 | 4.10 | 2.60 | 1.36 | 1.14 | 1.59 |
| 20:00 | 511 | კარლოვი ვარი-პარდუბიცე | 2.05 | 4.10 | 2.50 | 1.36 | 1.12 | 1.55 |
| 20:30 | 512 | ლიბერეცი-კლადნო | 1.50 | 4.40 | 4.20 | 1.11 | 1.10 | 2.14 |
| | | ჰოკეი. სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 9 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 600 | კეჟმაროკი-მარტინი | 2.50 | 4.00 | 1.65 | 1.53 | 1.00 | 1.16 |
| 19:00 | 601 | სკალიცა-მიკულაში | 1.30 | 5.00 | 6.00 | 1.03 | 1.06 | 2.72 |
| 19:30 | 602 | ტრენჩინი-კოშიცე | 2.70 | 4.00 | 1.90 | 1.61 | 1.11 | 1.28 |
| 19:00 | 603 | ნიტრა-ბისტრიცა | 1.50 | 4.40 | 4.00 | 1.11 | 1.09 | 2.09 |
| 19:00 | 604 | ზვოლენი-ჟილინა | 1.65 | 4.10 | 3.60 | 1.17 | 1.13 | 1.91 |
| 19:00 | 605 | სლოვაკეთი 20-პოპრადი | 9.00 | 6.00 | 1.20 | 3.59 | 1.05 | 1.00 |
| | | ჰოკეი. გერმანია | | | | | | |
| | | 9 სექტემბერი | | | | | | |
| 21:30 | 593 | კიოლნი-დიუსელდორფი | 1.80 | 4.30 | 2.90 | 1.26 | 1.11 | 1.73 |
| 21:30 | 594 | ინგოლშტადი-ჰანოვერი | 2.00 | 4.10 | 2.40 | 1.34 | 1.09 | 1.51 |
| | | ჰოკეი. შვეიცარია | | | | | | |
| | | 9 სექტემბერი | | | | | | |
| 21:45 | 595 | ამბრი-დავოსი | 2.30 | 4.00 | 2.10 | 1.46 | 1.09 | 1.37 |
| 21:45 | 596 | ბიელი-ფრიბურგი | 2.20 | 4.00 | 2.30 | 1.41 | 1.12 | 1.46 |
| 21:45 | 597 | სერვეტი-ლუგანო | 1.90 | 4.10 | 2.50 | 1.29 | 1.07 | 1.55 |
| 21:45 | 598 | რაპერსვილი-ბერნი | 2.50 | 4.00 | 1.90 | 1.53 | 1.07 | 1.28 |
| 21:45 | 599 | ლანგნაუ-კლოტენი | 2.20 | 4.00 | 2.10 | 1.41 | 1.07 | 1.37 |
| 21:45 | 606 | ციურიხი-ცუგი | 1.80 | 4.20 | 2.80 | 1.25 | 1.09 | 1.67 |
| | | ხელბურთი. კაცები გერმანიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 9 სექტემბერი | | | | | | |
| 22:15 | 553 | გროსვალშტადტი-დორმაგენი | 1.15 | 12.00 | 6.00 | 1.04 | 1.00 | 4.00 |
| 22:15 | 554 | ნორდჰორნი-მელსუნგენი | 1.15 | 12.00 | 6.00 | 1.04 | 1.00 | 4.00 |
| | | 10 სექტემბერი | | | | | | |
| 22:15 | 555 | ფლენსბურგი-გუმერსბახი | 1.15 | 12.00 | 6.00 | 1.04 | 1.00 | 4.00 |
| 22:15 | 556 | კილი-მაგდებურგი | 1.05 | 15.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 6.00 |
| 22:15 | 557 | ჰამბურგი-ესენი | 1.01 | 18.00 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 8.18 |
| 22:15 | 558 | ბერლინი-ნეკარი | 3.00 | 10.00 | 1.40 | 2.30 | 1.00 | 1.22 |
| 22:15 | 559 | ლემგო-ვეტცლერი | 1.03 | 15.00 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 6.66 |
| 22:15 | 560 | გოპინგენი-სტრალსუნდერი | 1.10 | 12.00 | 8.00 | 1.00 | 1.00 | 4.80 |
| 22:15 | 561 | ბელინგენი-მინდენი | 1.30 | 7.50 | 4.00 | 1.10 | 1.00 | 2.60 |
| | | ხელბურთი. კაცები დანიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 10 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 562 | ორჰუსი-სკერნი | 1.65 | 9.00 | 2.40 | 1.39 | 1.00 | 1.89 |
| 22:00 | 563 | რინგსტედი-ბიერინგბრო | 9.00 | 12.00 | 1.10 | 5.14 | 1.00 | 1.00 |



# გვათამაშეთ B დივიზიონში და მოგცემთ A-ს

## ნაკრების წევრები მინიმალურს ითხოვენ

*დღეს საქართველოში თუ რომელიმე სპორტის სახეობას უჭირს, ერთ-ერთი მათგანი უთუოდ წყალბურთია. უფულობა, უაუზობა წყალბურთში ჩვეულებრივი მოვლენაა. სიტუაცია იმდენად ბუნდოვანია, რომ ბევრმა გულშემატკივარმა ისიც არ იცის, საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები თუ არსებობს და მოთამაშეთა დიდი ნაწილი ევროპაში თამაშობს.*

*გუშინ რედაქციაში გერმანული „ვასპო ჰანოვერის“ 26 წლის წყალბურთელი პაატა ჯაფარიძე გვესტუმრა, რომელიც ნაკრების ერთ-ერთი ლიდერიც გახლავთ. იგი საკლუბოსთან ერთად სანაკრებო ამბებზეც გვესაუბრა...*

— შვეიცარიაში ვიყავი ცოტა ხანს, მაგრამ სავიზო პრობლემების გამო მალევე ავსტრიულ „ბადენში“ გადავედი. ის იყო ჩემი პირველი გუნდი ევროპაში, სადაც ერთი სეზონი ვითამაშე, თუმც ჩემპიონატის ძალიან დაბალი დონის გამო სხვაგან გადასვლაზე დავიწყე ფიქრი, რათა მეტი მესწავლა. მერე უკრაინის „სევასტოპოლში“ გავაგრძელე თამაში და მათთან ერთად ვერცხლის და ბრინჯაოს მედალი მოვიგე. ერთხელ კი თასის ფინალში დავმარცხდით. უკრაინაში ოთხი წელი დავყავი და გერმანულ „ჰანოვერ 1919-ში“ გადავედი. ახლა კი უკვე „ვასპო ჰანოვერში“ ვარ. კონტრაქტი წლეულს გავაფორმე. გერმანიის ჩემპიონატი 28 ოქტომბერს იწყება და ამ გუნდში პირველ სეზონს ჩავატარებ.

— ჰანოვერს ორი წყალბურთის გუნდი ჰყოლია. რომელი უფრო ძლიერია და რატომ გადახვედი კონკურენტ გუნდში?

— ძველ გუნდთან პირობებზე ვერ შევთანხმდი და ამიტომ. ერთწლიანი კონტრაქტი მაქვს. სეზონის ბოლოს გადავხედავთ პირობებს და ორივე მხარის სურვილის მიხედვით მოვიქცევით. ერთი ქალაქის გუნდებია და მაგარი დერბი გვაქვს ხოლმე. გასულ ჩემპიონატში მერვე ადგილზე გავედით, ახალ გუნდში კი — მეხუთეზე. მერე ისე მოხდა, რომ ჩვენზე წინ გასულმა ერთ-ერთმა გუნდმა ევროთასებზე უარი თქვა და იქაც ვითამაშებთ. როგორც ფეხბურთში უეფას თასი, ისეა. ჯგუფურ ეტაპზე გასასვლელად ორი ბარიერი უნდა დავძლიოთ. დღეს მივდივარ გერმანიაში და მალევე ჩერნოგორიას მივაშურებთ, სადაც ადგილობრივი „კოტორი“ და პორტუგალიური „პარადისე“ წრიული სისტემით ვითამაშებთ და ორი უკეთესი გუნდი მომდევნო ეტაპზე გავა.

— გერმანიის ჩემპიონატზე რას გვეტყვი, როგორი დონეა?

— 16 გუნდი თამაშობს, აქედან რვა საკმაოდ ძლიერია. კარგი ჩემპიონატი აქვთ. ნაკრებიც ანგარიშგასაწევია. თავად განსაჯეთ, რუსეთის ნაკრები ოლიმპიადაზე ვერ მოხვდა, გერმანელებმა კი ითამაშეს პეკინში. ჩემპიონატის ლიდერი ბერლინური „შპანდაუა“, რომელიც მთავარი ფავორიტია და ნაკრების დასაყრდენს წარმოადგენს. აქედან შვიდი კაცი მიდის მთავარ გუნდში. ასევე „დუისბურგი“, „ესლინგერი“, მერე კი ჩვენი გუნდიც მოდის. წლეულს გვინდა, ოთხეულში გავიდეთ და პლეი ოფი ვითამაშოთ, ანუ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლოთ. მართალია, „შპანდაუს“ ვერ მოვუგებთ, მაგრამ ვნახოთ...

— შენ ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე იქნები?

— გერმანიაში ასეა, თუ გიმატებენ, ესე იგი უნდა გათამაშონ. სხვანაირად გუნდში რატომ აგიყვანენ? ასე რომ, მუდმივად მომიწევს თამაში ცენტრფორვარდად. ახლა არ ვარ სასურველ ფორმაში, მაგრამ ნელ-ნელა გავაუმჯობესებ კონდიციებს და მინდა, რომ გუნდს წარმატებაში დავეხმარო, ევროპული მედლები უნდა მოვიგო.

— ნაკრებზეც ვთქვათ... მუდმივად აუზის და ფინანსების პრობლემაა და უკრაინის ღია პირველობაზეც ძლივს ახერხებთ თამაშს. რამე ხომ არ შეიცვალა უკეთესობისკენ?

— უკრაინის ღია პირველობაზე ალბათ აღარ გამოვალთ. აქცენტი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევზე გაკეთდება. B დივიზიონში ვითამაშებთ. ყველაფერი 26 სექტემბერს უნდა გაირკვეს. საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი დავით რურუა ლენა-ს (წყალბურთის საერთაშორისო ფედერაცია) კონგრესზე წავა და იქ გადაწყდება ჩვენი ბედი. მომავალ კვირაში ის ბიჭები, რომლებიც საქართველოში არიან, „ლაგუნა ვერეზე“ დაიწყებენ ვარჯიშს ირაკლი კიკალიშვილის მეთვალყურეობით. თუ გადაწყდება, რომ ნაკრები შესარჩევს თამაშობს, მაშინ ამხანაგური შეხვედრებიც გვექნება და ტურნირებზეც გამოვალთ, რომ შევთამაშდეთ. ყოველ შემთხვევაში, ამის იმედს გვაძლევენ.

— ბევრმა წყალბურთელმა დაანება თავი თამაშს იმის გამო, რომ პერსპექტივას ვერ ხედავდა. დაბრუნებას ხომ არ ფიქრობენ?

— თუ შესარჩევში ჩავერთვებით, მაშინ ბევრი დაბრუნდება და ითამაშებს. ლეგიონერებიც ჩამოვალთ. მართლაა იმის პოტენციალი, რომ A დივიზიონში გადავიდეთ და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ვიბრძოლოთ. ახალი თაობაც მოდის და არ უნდა დაიკარგოს. ზურა რურუა კარგი ბიჭია. სანდრო რუსიშვილი 16 წლისაა და, თამამად ვიტყვი, რომ თუ ხელი შეეწყობა, მისგან მსოფლიო დონის წყალბურთელი დადგება. ქართველებს შეგვიძლია წყალბურთის თამაში და არ უნდა დავკარგოთ ეს სპორტი.

**ლევან მაისურაძე**



# ლოკომოტივი ჯანზეა და მზადაა

*თბილისის „ლოკომოტივი“ საქართველოს ჩემპიონატში იმ გამონაკლის გუნდთაგანია, რომლებმაც წრეებსშორის შესვენება მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოიყენა. გუნდმა წინანდალში შეკრება გაიარა, რაც მეორე წრის პირველივე თამაშში აშკარად დაეტყო. საქართველოს ყველაზე ტიტულიანმა გუნდმა 122:7 გაანადგურა „დინამო“. თამაშის შემდეგ „ლოკომოტივის“ მთავარ მწვრთნელ თემურ ბენდიაშვილს შევეხმიანეთ და ბლიც-ინტერვიუც ჩავიწერეთ...*

— ჩვენი ჩემპიონატის გუნდების უმეტესობამ საქართველოში საომარი მოქმედებების გამო დაგეგმილი შეკრება ვერ გაიარა. თქვენი გუნდი ამ მხრივ ერთ-ერთი გამონაკლისი იყო...

— წინანდალში საუკეთესო შეკრება გავიარეთ. გუნდი ძალზან მაღალ დონეზე მოემზადა მეორე წრისთვის. ჩემები ყველანი ჯანზე არიან და მთელი სეზონის განმავლობაში პირველი ადგილის დათმობას არ ვაპირებთ.

— პირველი წრის შემდეგ ძირითად ბირთვი თუ შეინარჩუნეთ?

— „ლოკომოტივი“ მეორე წრეშიც თითქმის უცვლელი შემადგენლობით გამოვა. ძირითადი ბირთვი შევინარჩუნეთ, მხოლოდ ერთი მოთამაშე — ნიკა მაღალდაძე წავიდა საფრანგეთში კარიერის გასაგრძელებლად.

— ვინმე დაიმატეთ?

— „უნივერსიტეტიდან“ დავიმატეთ ალექსი ტუჩაშვილი. მან პირველივე თამაშში გაამართლა ჩვენი იმედები და სამი ლელო გაიტანა.

— გასული ტური ისევ ძველი წესებით ჩატარდა. მომდევნო შეხვედრებში კი საქართველოს ჩემპიონატში ახალი წესები დაინერგება. თუ ემზადებით ამისთვის და რამდენად მოგწონთ ეს ცვლილებები?

— ახალი წესებით სათამაშოდ ჩვენ სისტემატურად ვემზადებით და ვფიქრობ, ჩემს გუნდს სიახლეებთან შეგუება არ გაუჭირდება. რაც შეეხება იმას, მომწონს თუ არა წესებში ცვლილებები, გეტყვით, რომ ძალიან საინტერესოა, მომწონს და რაც მთავარია, ეს ყველაფერი რაგბის განვითარებას წაადგება.

**ზურაბ მიგრიაული**



# 19-წლამდე ევროპა პოლონეთში

**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრები 13 სექტემბერს პოლონეთის ქალაქ სოპოტში გაემგზავრება, სადაც 21 სექტემბრიდან ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატზე ითამაშებს. ტურნირის დაწყებამდე ჩვენები ერთკვირიან შეკრებას გაივლიან სოპოტში. შეჯიბრების საწყის რეიტინგში საქართველოს ნაკრები მე-2 პოზიციაზე იმყოფება რუმინეთის შემდეგ. მესამეზე არიან რუსები, მეოთხეზე ესპანელები, მეხუთეზე პორტუგალიელები, მეექვსეზე პოლონელები, მეშვიდეზე ჰოლანდიელები, ხოლო მერვეზე ბელგიელები.

ჩვენები პირველ შეხვედრას პოლონეთის დროით 16:00 სთ-ზე „ავფისის“ სტადიონზე ჰოლანდიელებთან გამართავენ.

ტურნირის ფინალური მატჩი კი შაბათს 15:00 საათზე დაიწყება სოპოტის „ოგნივოს“ სტადიონზე.

**ზურაბ მიგრიაული**

გუშინ ნალკაში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის გადადებული მატჩი. „უნივერსიტეტმა“ 28:12 დაამარცხა „ქუთაისი“.






*საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა გასულ შაბათს ლუქსემბურგის ეროვნულ გუნდთან გამართა შეხვედრა და 33-ქულიანი სხვაობით გაიმარჯვა. თუმცა ახლა ამაზე ფიქრის დრო აღარაა, ჩვენს ნაკრებს მთელი ყურადღება მიმართული აქვს 10 სექტემბერს ირლანდიასთან დუბლინში გასამართი თამაშისკენ.*

*იგორ კოკოშკოვის ნაკრების ძალა სწორედ „სამყურებთან" დაპირისპირებაში უნდა გამოჩნდეს, რადგან ლუქსემბურგელთა დონე არანაირად არ გამოდგება ჩვენი გუნდის ძალის საზომად.*

*გთავაზობთ კოკოშკოვის ქართველი ასისტენტის დავით უსტიაშვილის ინტერვიუს, რომელიც გუშინ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე WWW.GBF.GE-ზე გამოქვეყნდა...*

# დავით უსტიაშვილი: ახლა მხოლოდ ირლანდიაზე ვფიქრობთ

— კმაყოფილი ხართ ჩვენი გუნდის თამაშით?

— საბოლოოდ 33 ქულით გავიმარჯვეთ, რაც ცოტა ნამდვილად არ არის, მაგრამ მეტით მოგებაც შეიძლებოდა. თავიდან ცოტა მძიმედ დავიწყეთ, მაგრამ ნელ-ნელა თამაში გამოავასწორეთ და მთლიანობაში კმაყოფილები დავრჩით.

— რომელ სათამაშო კომპონენტს გამოარჩევთ?

— ყველა რგოლში ნორმალურად ვითამაშეთ, თუმცა ხარვეზები დაცვაშიც გვქონდა და შეტევაშიც. კომბინაციების გათამაშებაც სულ არ გამოგვივა. იყო მომენტები, როცა ყველაფერს კარგად ვართმევდით თავს, თუმცა რაღაცეები არ გამოგვდიოდა. დღეს დავბრუნდით ავსტრიაში და საღამოს ვარჯიშზე მოგვეცემა ლუქსემბურგთან მატჩის ვიდეოფირის ნახვის და ყველაფრის გაანალიზების შესაძლებლობა.

— ჩვენი ხუთეულის ყველა წევრი ასცდა 10-ქულიან ზღვარს. ეს გუნდურ თამაშზე მიუთითებს...

— ეს ძალიან კარგია, რომ უწინდელივით ერთ კალათბურთელზე აღარ ვიქნებით დამოკიდებულნი. გუნდში არაერთი მოთამაშეა, რომელსაც შეუძლია, ლიდერობა შეითავსოს.

— ზაზა ფაჩულიას 3 პასი დაუგროვდა, რაც ტაირონ ელისის ასეთივე მონაგართან ერთად საუკეთესო შედეგი იყო ამ მატჩში.

— ეს. მართლაც კარგი ამბავია, რომ ზაზა ფაჩულიას ბოლო მატჩებში პასები უგროვდება. მას გაცილებით მეტი შედეგიანი გადაცემა ჰქონდა, მაგრამ ისინი სათვალავში არ ჩათვალეს, რაკი ფარქვეშიდან პერიმეტრზე გადააწყოდა. ზაზას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, მჭიდრო მეურვეობა დაუწესსდა ისიც გუნდურ თამაშზე გადაერთო. ახლა მთავარია, ირლანდიასთან მატჩს სრული მობილიზებით შევხვდეთ და გავიმარჯვოთ.

— ირლანდიელთა თამაში თუ გაქვთ ნანახი?

— ვიდეოფირს ირლანდიაში ჩასვლის შემდეგ მოგვცემენ და მათი თამაშის გასაანალიზებლად დრო გვექნება. ირლანდიამ შვედეთში კი წააგო, მაგრამ, როგორც გამოჩნდა, ჩვენს მომავალ მეტოქეს საკმაოდ მებრძოლი გუნდი ჰყავს.

— ჩვენი მომავალი მეტოქეა შვედეთიც...

— შვედებზე ჯერ არ ვფიქრობთ. ირლანდიაში ძალიან პრინციპული მატჩი გველის, რომლის წაგების უფლებაც არ გვაქვს. ისე კი, შვედების თამაშის ვიდეოფირი ნანახი გვაქვს, როცა ისინი აგვისტოს შუა რიცხვებში ლატვიელებს გაეჯიბრნენ. ლატვია ლიდერის, ანდრეს ბიედრინსის გარეშე თამაშობდა და შვედებს ერთი სპარინგი მოუგო, მეორეში კი დამარცხდა.

# ბინძური მოთამაშე არეულ გუნდში

**2006 წლის** ჩემპიონი „მაიამი ჰითი" რამდენიმეწლიან რეორგანიზაციულ ჭაობში ჩაფლულა და „რამსებთან" ერთად შემადგენლობაც გვარიანად არევია. მადლობა ღმერთს, ლიდერი დუეინ ვეიდი გამოუჯანმრთელდა. მან ერთი კვირის წინ პეკინში ოლიმპიური ოქრო მოიპოვა და ამასთან ფერფლიდან აღმდგარი „დრიმ თიმის" მთავარი მექულე გახდა.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენი ხნით შეინარჩუნებს გუნდი წინა სეზონის მსვლელობისას შაკილ ონილის ნაცვლად „ფინიქსიდან" გადაყვანილ შონ მერიონს — ოთხი კვირით თუ ოთხი წლით, მანამდე კი ხელმძღვანელები წვრილმანი ღრიჭოების ამოვსებას ცდილობენ და ოთხშაბათს მიიწვიეს გამოცდილი ცენტრი ჯამალ მაგლორი, რომელსაც მშობლიურ კანადაში ჯამალ მალუად მოიხსენიებენ.

30 წლის მაგლორი ოდესღაც მეორე თანრიგის ვარსკვლავადაც ითვლებოდა, 2003-04 სეზონში „ნიუ ორლეანში" თამაშისას საშუალოდ 13,6 ქულასა და 10,3 მოხსნის აგროვებდა და როგორღაც ოლ სტარშიც კი მიიწვიეს, მაგრამ ნბა-ში ის უფრო თავისი „ბინძური კალათბურთით" იცნობენ. არავის ეხატება გულზე, რაკი მის სინდისზე მრავალი მოწინააღმდეგის ტრავმაა. მაგლორთან თამაშის დროს უჩხუბიათ ქართველებს — ვლადიმერ სტეფანიასა და ზაზა ფაჩულიას, რაღა თქმა უნდა, ცალ-ცალკე. ბოლოს ის თავადაც ხშირად ტრავმიანობს და გასულ სეზონში მხოლოდ 31 შეხვედრაში მონაწილეობდა, საშუალო მაჩვენებელი კი უბადრუკ 1,8 ქულამდე დაუვარდა.



ჯამალ მაგლორი



# ვარჯიში გორში, ჭიდაობა ვარშავაში

**12-14 სექტემბერს** ვარშავაში ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. საქართველოს ნაკრები ამ ტურნირზე ოპტიმალური შემადგენლობით წარდგება. ჩვენმა ფალავნებმა რამდენიმე ეტაპიანი მომზადება გაიარეს და ათ სექტემბერს პოლონეთში გაემგზავრებიან. ამასთან დაკავშირებით ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელ ბორია ფირცხელიანს შევეხმიანეთ.

ბორია ფირცხელიანი — „მოსამზადებელი პერიოდი რამდენიმე ეტაპად დავყავით. ჯერ ბაკურიანში გვქონდა შეკრება, შემდეგ ცეცხლმოდებულ ბორჯომის ტყეებშიც მოგვიწია ვარჯიში, ხოლო ბოლო თოთხმეტი დღე გორში გავატარეთ, მიუხედავად იმისა, რომ დაძაბული და საშიში სიტუაცია იყო. გორში შეკრებაზე სულ 36 ბავშვი მყავდა. ვარჯიშებს გია თენაძის სახელობის დარბაზში ვატარებდით. ამ დროს [illegible] გორში [illegible] გადაწყდა, რომ ჩვენ ამ ყველაფერს სიმბოლური დატვირთვა მივანიჭეთ და ჩვენი ჩამოსვლით გორელებს მხარში დავუდექით. მათაც მიუხედავად დუხჭირი დღეებისა ყურადღება არ მოგვაკლეს. შეჯიბრებაზე ძლიერი შემადგენლობით მივდივართ და რა თქმა უნდა მედლების აღებასაც ვგეგმავთ."

**ზურაბ მიგრიაული**

**საქართველოს ახალგზარდული ნაკრები**

გიორგი ბროლაშვილი 55კგ
პაატა მერებაშვილი 60კგ
ზებედა რეხვიაშვილი 66კგ
ავთო ჭერიკიშვილი 73კგ
ზაზა დავაძე 81კგ
ვარლამ ლიპარტელიანი 90კგ
კონსტანტინე მუკვანი 100კგ
ლევან მუქერია +100კგ



# შაფათავა ძირითადისთვის გაიბრძოლებს

**საბერძნეთში** დაიწყო საჩოგბურთო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდიც 100 ათასი ამერიკული დოლარია. ამ შეჯიბრებაში ქართველი ჩოგბურთელი სოფო შაფათავა მონაწილეობს, რომელიც ჯერ საკვალიფიკაციო ეტაპზეა და ძირითად ბადეში გადასასვლელად იბრძვის. სოფო შაფათავა დღესდღეობით ქართველ ქალ მეჩოგნეებში მესამეა რეიტინგში, მსოფლიოს მასშტაბით კი 246-ე პოზიციაზე იმყოფება.



ელადური ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ წრეში შაფათავამ დაისვენა, რის შემდეგაც თავის პირველ შეხვედრაში დიდი ბრიტანელი ამანდა ელიოტი დაამარცხა ანგარიშით 6:2 6:3.

სხვათა შორის, სოფო ამ შეჯიბრების საკვალიფიკაციო ეტაპზე მეშვიდე ნომრადაა განთესილი.

ძირითად ბადეში გადასასვლელად ქართველ ჩოგბურთელს კიდევ ერთი შეხვედრა დარჩა და თუ მან ეს თამაში მოიგო, უპირველესი ამოცანა წარმატებით გადაიჭრება. მას ამისთვი საკვალიფიკაციო ეტაპის მესამე წრეში უკრაინელი ვიქტორია კუტუზოვას დამარცხება მოუწევს, რომელიც აქ პირველ ნომრად იყო განთესილი, მსოფლიოს საჩოგბურთო რეიტინგში კი 152-ე ადგილზეა. შესაბამისად უნდა ვივარაუდოდთ, რომ ქართველს ძალიან რთული ბრძოლა მოელის.

ესპანეთის ქალაქ ლეიდაში იწყება ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდიც 10 ათასი ამერიკული დოლარია და იქ ძირითად ბადეში ორი ქართველი გოგონაა, თუმცა მათ ჯერ არ უთამაშიათ. სოფო ქვაცაბაია შეჯიბრებაზე მეხუთე, ეკა გორგოძე კი მეშვიდე ნომრადაა განთესილი. იქ ჯერჯერობით საკვალიფიკაციო ეტაპზე მიდის ბრძოლები და მის დასრულების შემდეგ, უკვე ჩვენი მოთამაშეებიც ჩაებმებიან საქმეში.

**გიორგი არაბული**



# თბილისი ევროპას დაწყებამდე დაემშვიდობა

**ოთხი** ქართული ხელბურთის გუნდიდან ევროთასებზე თამაშის უფლება საქართველოს ჩემპიონ „სტუ-თელავს" და ვიცე-ჩემპიონ „თბილისს" ჰქონდათ. სტუდენტებმა ფინანსური კრიზისის გამო კონტინენტზე გასვლა იუარეს. სამაგიეროდ, „თბილისმა" მოისურვა ევროპულ მარაქაში გარევა და ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე თამაში.

„თბილისის" პირველი მეტოქე ცნობილი იყო: ისრაელის „მაკაბი რიშონი", პირველი თამაში კი თბილისში 6 აგვისტოს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ აბა, მაგ დროს სათამაშოდ ვის ეცალა? ჰოდა, ევროპის ფედერაციამ გუნდებს თამაშის უფლება აღარ მისცა. ბუნებრივია, „თბილისს" სანქციები არ ელის. სამაგიეროდ, „რიშონი" გავიდა უპრობლემოდ მომდევნო ეტაპზე, რადგან ორივე თამაშში 10:0 მოგება ჩაეთვალა.

**ნიკა ძოპაძე**

## US OPEN 2008. ჰარდი. 25 აგვისტო-7 სექტემბერი. საპრიზო 15 900 000 დოლარი

### ქალები
### ფინალი

**სერენა უილიამსი (4, აშშ) — ელენა იანკოვიჩი (2, სერბეთი) 6:4 7:5**

„**ის** პიტბულის, ახალგაზრდა მაიკ ტაისონისა და ალიგატორის კომბინაციაა" — სიამაყით დაახასიათა თავისი უმცროსი ქალიშვილი რიჩარდ უილიამსმა.

ვერ გეტყვით, ეს რანაირი კომპლიმენტია, ან საერთოდ შეიძლება თუ არა კომპლიმენტი დაერქვას, მაგრამ აშშ-ს ღია პირველობის ახალგამომცხვარი ჩემპიონი მაინც ფრიად ნასიამოვნები გახლდათ. ეტყობა, უილიამსთა ოჯახს მაინც თავისებური ეთიკა აქვს.

თუმც უმჯობესია, ამაზე მსჯელობა გვერდზე გადავდოთ და გუშინ „ფლეშინგ მედოუზის" ცენტრალურ, არტურ ეშის სახელობის კორტზე დატრიალებულ ამბებს მივუბრუნდეთ, სადაც საინტერესო ფინალი გაიმართა. სერენამ და ელენა იანკოვიჩმა ლამაზი სპექტალი დადგეს და მაყურებელიც ასიამოვნეს, მაგრამ უფრო საინტერესო მაინც ნამატჩევს დაიწყო — იგრძნო თუ არა უილიამსმა თავი გამარჯვებულად, კორტზე გასაოცარი როკვა მოაწყო და ბევრის მნახველი ამერიკელებიც კი ძალიან გააკვირვა. სერენამ ჯერ ერთ ადგილზე ხტუნაობა დაიწყო, მერე კი ტრიბუნებზე ავარდა და თავისიანთა ლოჟისკენ გაქანდა.

მოგვიანებით სერენამ ყველას და უპირველესად იანკოვიჩს კი მოუბოდიშა, ნამეტანი მომივიდაო, მაგრამ მისი ასეთი საქციელი დიახაც რომ გასაკვირი გახლდათ. ასე, როგორც წესი, ახალგაზრდა, ყოვლად გამოუცდელი მეჩოგნეები იქცევიან ხოლმე, რომლებსაც პირველი წარმატება თავბრუს ახვევს და თავკონტროლს აკარგვინებს. სერენას კი ვერც გამოუცდელს დავარქმევთ და ვერც იმას ვიტყვით, პირველი ტიტული იყოო — მისთვის ეს მეცხრე მოგებული სლემტურნირი გახლდათ და ამიტომ უმცროსი უილიამსის გუშინდელ გაგიჟებას ნამდვილად არავინ ელოდა.

მეორეს მხრივ კი, ამ ყველაფერმა აჩვენა, თუ რამდენად უნდოდა სერენას ეს გამარჯვება. სწორედ ამ მონდომებამ შეაძლებინა იანკოვიჩის წინააღმდეგობის დაძლევა, რადგანაც სერბი არაფრის დათმობას არ აპირებდა და ყველა ბურთისთვის ბოლომდე იბრძოდა. თანაც ელენას უილიამსებთან თამაში ყოველთვის კარგად გამოსდიოდა — სერენასა და ვინუსისთვის




ბოლო ექვსი დაპირისპირება მოეგო.

მაგრამ გუშინ სერენა მტკიცედ იყო ჩაფრენილი ტიტულს და მისი ხელიდან გაშვებას არაფრით არ აპირებდა. ამის წყალობით შემოაბრუნა მეორე სეტი 3:5 ჩამორჩენის შემდეგ — ზედიზედ 4 გეიმი მოიგო.

ამ გამარჯვებით სერენამ მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსი დაიბრუნა. ამერიკელი რეიტინგის სათავეში პირველად მოექცა 2003 წლის 10 აგვისტოს შემდეგ. გარდა ამისა, სერენა მხოლოდ მეექვსე ქალი მეჩოგნეა, რომელსაც კარიერაში 9 ან მეტი სლემტიტული მოუგია. უმცროსი უილიამსი ახლა ისეთ წარმომადგენლობით კომპანიაში აღმოჩნდა, რომელშიც მარგარეტ კორტი, კრის ევერტი, მარტინა ნავრატილოვა, შტეფი გრაფი და მონიკა სელეში შედიან. დღეისთვის მოთამაშე სხვა ქალ მეჩოგნეთაგან ამ კომპანიაში აღოჩენის რეალური შანსი მხოლოდ ერთს, მეორე შავდას, ვინუსს აქვს, რომლის ანგარიშზეც 7 სლემტიტულია.

„იმედია, 10-ზეც მალე ავალ. აგერ, ხეზე დავაკაკუნებ, რომ არ გავითვალო" — ამბიციებს არ მალავს სერენა.

დაბოლოს, იმას გეტყვით, რომ იანკოვიჩმა შეძლო რეიტინგში თავისი ადგილის შენარჩუნება, რადგანაც ანა ივანოვიჩი ერთბაშად ორი საფეხურით დაქვეითდა და პირველიდან მესამეზე ჩამოვარდა.

### კაცები
### ნახევარფინალი

**ენდი მიურეი (6, ბრიტანეთი) — რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) 6:2 7:6 4:6 6:4**

აშშ-ს ღია პირველობის მთავარ პრიზს როჯერ ფედერერს ენდი მიურეი შეეცილება. ბრიტანელმა წვიმის გამო რაფაელ ნადალთან გადადებული ნახევარფინალური შეხვედრა მაინც მიიყვანა გამარჯვებამდე.

შოტლანდიელმა აშკარად აჯობა ესპანელს და თავისი ზეაგრესიული ჩოგბურთით პირწმინდად დაჩაგრა მსოფლიოს პირველი ჩოგანი. ენდი შაბათს გაწვიმებამდეც სჯობდა მალიორკელს და კვირა ღამეც. და ის, რომ რაფამ სამ სეტში არ წააგო და თამაში მაქსიმალურად გაწელა, მხოლოდ მისი ბრძოლისუნარიანობის დამსახურებაა. იომა და ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, მაგრამ შოტლანდიელს მაინც ვერ მოერია. „მან მოიგო იმიტომ, რომ ჩემზე უკეთესად ითამაშა" — კიდეც აღიარა ნამატჩევს.

ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ მატჩის განმავლობაში მიურეის 25 (!) ბრეიკპოინტი ჰქონდა. მუდმივად უტევდა და თითქმის ყოველთვის ფლობდა უპირატესობას. ამ მასირებულ შტურმს რაფას მაგვარმა სუპერათლეტმაც ვერ გაუძლო. უდრეკად და დაუღლელად მიჩნეული ესპანელი მატჩის მიწურულს უნდა გენახათ — ძლივსღა სუნთქავდა და ლამის მუხლები ეკეცებოდა.

მოკლედ, მიურეიმ ალალად დაიმსახურა ფინალი და ახლა ეცდება, 1936 წლის შემდეგ პირველი სლემტიტული მოუტანოს ბრიტანეთს.

**ძახა ლომაშვილი**

---

**სერენა უილიამსი**

დაიბადა 1981 წლის 26 სექტემბერს საგინოში მიჩიგანის შტატი, აშშ — აშშ-ს, ... ლაქე, ცხოვრობს პალმ ბიჩ გარდენში შტატი ფლორიდა). სიმაღლე 178 სმ, წონა 65 კგ. პროფესიონალია 1998 წლიდან. კარიერის განმავლობაში მოპოვებული აქვს ერთეულთა 32 მათ შორის 9 დიდი სლემის: ავსტრალიის ღია პირველობა — 2003, 2005, 2007, როლან გაროსი — 2002, უიმბლდონი — 2002, 2003, აშშ-ს ღია პირველობა — 1999, 2002, 2008) და წყვილთა 12 ტიტული. ჩატარებული 481 მატჩიდან 398 მოიგო და 83 წააგო. საპრიზოების სახით გამოიმუშავა 21 750 782 დოლარი. უმაღლესი ადგილი რეიტინგში — 1 პირველად 2002 წლის (8 ივლისს).

**სერენა US OPEN 2008-ზე**

I **წრე**: ს.უილიამსი — კატერინა ბონდარენკო (უკრაინა) 6:1 6:4

II **წრე**: ს.უილიამსი — ელენა ვესნინა (რუსეთი) 6:1 6:1

III **წრე**: ს.უილიამსი — აი სუგიამა (-იაპონია) 6:2 6:1

IV **წრე**: ს.უილიამსი — სევერინ ბრემონი (საფრანგეთი) 6:2 6:2

1/4 **ფინალი**: ს.უილიამსი — ვინუს უილიამსი (7, აშშ) 7:6 7:6

1/2 **ფინალი**: ს.უილიამსი — დინარა საფინა (6, რუსეთი) 6:3 6:2

**ფინალი**: ს.უილიამსი — ელენა იანკოვიჩი (2, სერბეთი) 6:4 7:5

---



# აი, სკანდალი! ჰემილტონი პირველიდან მესამეზე ჩააქოჩეს




„**ვლოცულობდი**, რომ წვიმა წამოსულიყო, რადგანაც ვიცოდი ასეთ პირობებში რა უნდა გამეკეთებინა. ეს ერთ-ერთი ულამაზესი რბოლა იყო ჩემს კარიერაში. მიყვარს ამდაგვარ ბრძოლებში მონაწილეობა" — ამბობდა ბელგიის გრან პრის მოგების შემდეგ ლუის ჰემილტონი.

ამბობდა და ჯერ არ იცოდა, რომ ეს სიხარული დიდ ხანს არ გაჰყვებოდა. რბოლის სტიუარდებმა ბრიტანელს ავარიული მდგომარეობის შექმნა გამოუჩხრიკეს და 25 წამის ჩამოკლებით დააჯარიმეს. შედეგად ჰემილტონი მესამე ადგილამდე ჩამოქვეითდა, გამარჯვული კი ფელიპე მასას გამოვიდა.

გამოდის რომ, წლის ალბათ ულამაზეს სანახაობად ქცეული რბოლა იქნებ უმთავრეს სკანდალად იქცეს. სტიუარდთა გადაწყვეტილება საკმაოდ არაერთგვაროვანია, რის გამოც „მაკლარენის" წარმომადგენლებმა უკვე განაცხადეს, რომ ამ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ.

უშუალოდ ეს საკამათო მომენტი კი რბოლის მიწურულს მოხდა, როცა ჰემილტონ-რაიკონენს შორის ლიდერობისთვის გაცხარებული ბრძოლა მიმდინარეობდა. მოგეხსენებათ, ამ დავაში ბრიტანელმა იმარჯვა, კიმი კი მოსრიალდა, ტრასიდან გადავარდა და რბოლას გამოეთიშა.

სტიურდებმა სწორედ აქ დაინახეს ბრიტანელის მხირდან წესების დარღვევა. საქმე იმაშია, რომ ჰემილტონი პიტ-ლეინზე გადავიდა და ამით გზა მოჭრა. მართალია, შემდეგ ლუისმა რაიკონენი ისევ წინ გაატარა, მაგრამ სტიუარდების შეფასებით ჰემილტონმა მოსახვევში შესვლისთვის უკეთესი პოზიცია დაიკავა და ამით რაიკონენისთვის საავარიო მდგომარეობა შექმნა.

ეს სასაცილოდ არ ყოფნის თავად ჰემილტონს, რომელიც ამტკიცებს, რომ წესები არ დაურღვევია.

„ყველაფერი წესების მიხედვით იყო. პიტ-ლეინზე გადასვლის შემდეგ მექანიკოსებმა მითხრეს კიმი წინ გაატარეო და მეც დავემორჩილე. ხოლო იმაზე საუბარი, რომ მოსახვევში შესვლისას უკეთესი პოზიცია მქონდა, აბსოლუტური სისულელეა. იქ მხოლოდ ორი ვარიანტი მქონდა — ან ტრასიდან უნდა გადავსულიყავი, ანაც მარცხნივ მომეხვია. მეც მარცხნივ მოვუხვიე და გამოვიდა ის, რაც გამოვიდა. სხვა რა უნდა მექნა, წარმოდგენა არა მაქვს. მაგრამ მიდი ახლა და უმტკიცე სტიუარდებს სიმართლე — აზრის შემცვლელეი ეგენი არ არიან."

აღშოფეთებული არიან „მაკლარენის" მესვეურებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ ჰემილტონს ბრალი არ მიუძღვის.

„ჩვენი მონაცემებით, რომელიც სტიუარდებსაც გავაცანით, მოსახვევში შესვლამდე ლუისი კიმიზე 6 კმ/სთ-ით უფრო ნელა მიდიოდა. ჰემიტლონმა წინ გაატარა მეტოქე და ის, რომ შემდეგ მოსახვევში დაჯაბნა, წესების დარღვევა არანაირად არ იყო. ასე რომ, აუცილებლად სასამართლოში წავალთ."

ზომიერი კომენტარი გააკეთეს ამ ყველაფრით მოგებაში დარჩენილ „ფერარის" წარმომადგენელებმა.

„ხშირად მითქვამს, რომ რბოლა სრულდება მხოლოდ ოფიციალური შედეგების გამოქვეყნების შემდეგ. დღესაც ასე მოხდა. სტიუარდების გადაწყვეტილებაზე არაფერს ვიტყვით, მაგრამ მათ ჩვენი პოზიცია უკვე გავაცანით" — განაცხადა სტეფანო დომენიკალიმ.

ამ ყველაფერმა ძალიან დაძაბა საჩემპიონო რბოლა. ჰემილტონთან 8 ქულიანი ჩამორჩენის მაგივრად ციდან ჩამოგდებული საჩუქრის შემდეგ მასა ლიდერს ხელის გაწვდენაზე მიუახლოვდა და ორ ქულასღა აგებს — თანაფარდობა 76-74 ქულაზეა.

გარდა ამისა, ბრიტანელის მესამეზე ჩამოქვეითებით მეორეზე აინაცვლა კვირას ბრწყინავლედ გამოსულმა ნიკ ჰაიდფელდმა. შედეგად გერმანელის საერთო მონაგარი კიდევ ორი ქულით შეივსო და 49-ს გაუტოლდა. ჰაიდლფელდი გენერალურ კლასიფიკაციაში მეხუთეა და მეოთხეზე მყოფ რაიკონენს 8 ქულითღა ჩამორჩება.

**ძახა ლომაშვილი**

# შეშინებული ვარსკვლავი

## დიდი პაუელი მხოლოდ პატარა ტურნირებზეა დიდი



**ასაფა პაუელის** ხასიათში არის რაღაც ნევროზული. 100 მეტრზე სირბილში იამაიკელ ექსრეკორდსმენს შინაგანმა ზღუდეებმა შეუშალა ხელი, როდესაც მას მსოფლიოს დაპყრობა და ნამდვილ მეფედ კურთხევა შეეძლო, მერე კი უსაინ ბოლტიც გამოჩნდა და პირველობისთვის ვერმოწოდებული უფროსი თანამემამულე მორყეული ტახტიდან საბოლოოდ ჩამოაგდო.

პაუელისთვის ალბათ უდიდესი ელდა იყო 2007 წლის ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატზე მარცხი — მესამე ადგილი და მაშინვე ყველამ წამოიწყო მივიწყებულ თემაზე საუბარი — მსოფლიო რეკორდსმენი ფსიქოლოგიურად მდგრადი ვერაა და დიდ ტურნირებზე საკმარისზე მეტად იძაბება, რაც გამარჯვებაში ხელს უშლისო. ეს ვარაუდი შემდეგ კიდევ დადასტურდა. ხოლო ის, ვისაც საკუთარ თავში შეაქვს ეჭვი, არც პირველობას იმსახურებს. სრულად კანონზომიერი იყო, უფრო თავდაჯერებულმა ბოლტმა რომ აჯობა იამაიკის ჩემპიონატზეც, პეკინის ოლიმპიადაზეც და ოქროს ლიგის ბრუსელის ეტაპზეც.

შარშან პაუელი ოსაკაში რომ დამარცხდა, მან რამდენიმე დღეში იტალიურ რიეტიში გრან პრის სტატუსის მქონე კომერციულ ტურნირზე შეძლო რეაბილიტირება, ყოველ შემთხვევაში, საკუთარ თავში მაინც, როდესაც 100 მეტრი 9,74 წამში ირბინა და თავისი მსოფლიო რეკორდი 0,02 წამით გააუმჯობესა.

ზუსტად ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდა ის წლეულსაც, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი ფსიქოლოგიური არამდგრადობა. ის კვლავ ჩავიდა რიეტიში და რაკი მისი დამამხობელი ბოლტი 5 სექტემბერს ბრიუსელში გამარჯვების შემდეგ მშობლიურ იამაიკაში გაფრინდა მოსასვენებლად, ახლა პაუელს ხელს არავინ უშლიდა და მან 9,77-წამიანი შედეგით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ნაკლებ ხმაურსა და წნეხში ფეხებს უფრო სწრაფად ადგამს.

რიეტიში პაუელმა ორჯერ ირბინა და კვალიფიკაციაში 9,77 შედეგი აჩვენა. მაგრამ ის თურმე თავისი სენისგან ბოლომდე არც ასე კარგად დაცდილ რიეტიში განკურნებულა. ახლაც ინერვიულა და ფინალში ნაადრევად წამოხტა სტარტიდან, რისთვისაც, რაღა თქმა უნდა, გაარფხილეს. მეორე ფალსტარტისა და საერთოდ მოხსნის შიშით იამაიკელს მერე სხვებზე ნელი სტარტი გამოუვიდა და ფინალური გარბენიც ნაკლებსწრაფი ჰქონდა — „მხოლოდ" 9,82. ასეც კომფორტულად მოუგო მდევართა შორის საუკეთესოს, მაიკლ ფრატერს, ვინც თითქმის მაქსიმუმი შედეგი აჩვენა — 9,98 (0,01 წამი დააკლდა პირად რეკორდამდე). მაგრამ პაუელი მაინც ჩაღიოდა, ფალსტარტი რომ არა, მსოფლიო რეკორდზე (9,69) წავიდოდი, მიუხედავად იმისა, რომ გუშინწინ ბრუსელში ძალიან დავიღალეო.

პაუელმა ოდესმე იქნებ მოუხსნას კიდეც ბოლტს რეკორდი, მაგრამ ამ სასწაულს თუ შეძლებს, აუცილებლად მომცრო ტურნირზე, სადაც სულში დატრიალებული დარჯაკი არ შეაწუხებს. მაგრამ, როგორც ჩანს, ის ვერასდროს შესწვდება რეკორდს დიდ ტურნირზე და მისი გამარჯვებებიც ამიტომ არ იქნება უსაინ ბოლტის დაქუხებასავით ეფექტური.

* * *

რიეტის გრან პრიზე პაუელი ყველაზე დიდრონი მარგალიტი იყო, თუმც ტურნირს არც სხვა ძვირფასი თვლები აკლდა. 100 მეტრზე სირბილი ქალებშიც იამაიკელმა მოიგო — ოლიმპიურმა ჩემპიონმა შელი-ენ ფრეზერმა პეკინში მეორე ადგილზე გასული კერონ სტიუარტი ახლაც ჩამოიტოვა — 11,06 წამი 11,11-ის წილ. დაძაბულ ბრძოლაში მესამე ადგილი ამერიკელ კარმელიტა ჯეტერს (11,3) შეხვდა. ასევე იამაიკის ჰიმნი გაჟღერდა 200 მეტრზე გამარჯვებულის პატივსაცემადაც. შერიკა უილიამსმა პეკინში 400 მეტრი ვერცხლის ფასად ირბინა, რიეტიში კი მან 200 მეტრზე 22,50 შედეგით იპირველა. ჯეტესმა აქაც სულ ცოტათი — 0,02 წამით წააგო.

მსოფლიოს უძლიერესმა სტაიერმა ქალმა, პეკინში ერთდროულად 5 და 10 კილომეტრზე გაჩემპიონებულმა ეთიოპიელმა ტირუნეშ დიბაბამ თავისი მაღალი კლასი რეიტიშიც დაამტკიცა. მან თავიდანვე გადაწყვიტა, 5 კილომეტრზე საკუთარი რეკორდისთვის (14 წუთი და 11,15 წამი) შეეტია, მაგრამ პეისმეიკერი ვერ გამოადგა. რუსი ანა ალმინოვა კარგი ტემპით კი მიაქროლებდა დიბაბას, მაგრამ მან მხოლოდ ორი კილომეტრი გაძლო, მერე კი დიბაბა სამ კილომეტრთან პირისპირ დარჩა. ერთი კილომეტრი სარეკორდო გრაფიკში მოიილია, მაგრამ მერე დაიღალა და რეკორდს 12 წამით ჩამორჩა.

**ირაკლი ფირაშვილი**



la vuelta'08

63-ე ლა ვუელტა ესპანა



# ვუელტას კარდიოგრამა

## პირველი 33-ე ადგილზე ჩაგორდა

**ერთი-ორი** დღეც და, „ვუელტაზე" უკვე აღარავის ემახსოვრება მეშვიდე, სამთო ეტაპის სასწაულით მომგები იტალიელი ალესანდრო ბალანი, რაკიღა ცხოვრების ყველაზე რთულ გამარჯვებას ამ კაცმა იმდენი ენერგია შეახარჯა, რომ მეორე დღეს აღარაფრად ვარგოდა. კვირას ასევე მთებში, ანდორისა და პლა დე ბერეტს შორის 151 კილომეტრზე გაჭიმულ მერვე ეტაპზე დასრულდა ბალანის ერთდღიანი პირველობა, მხოლოდ 88-ე მიგორდა ფინიშზე ლიდერთან 19-წუთიანი ჩამორჩენით და საერთო ჩათვლაში 33-ე საფეხურამდე დაეცა. ხეობებზე, მთებსა თუ ვაკეებზე მიმავალ „ვუელტას" პერსპექტივაც ასეთივე უსწორმასწორი აქვს.

ბალანი იქით დარჩეს და, მერვე ეტაპი მოულოდნელად მოიგო ყველასგან მივიწყებულმა 33 წლის ფრანგმა დევიდ მონკუტიემ, რომელსაც მსგავსი რამ ბოლო სამი წელი არ მოეხერხებინა. მან დაახლოებით იგივე გააკეთა, რაც ერთი დღის წინ ბალანმა — რამდენიმე თანამზრახველთან ერთად ადრეულადვე მოსწყდა პელოტონს და საერთო ჩათვლაში მაღალი ადგილის მოსურნეებმა მათი დევნით წვივები არ აიტკივეს, ხოლო გაქცეულთა ჯგუფში ყველა რომ დაიქანცა და ჩამორჩა, მონკუტიეს ისღა დარჩენოდა, ბოლო ძალები მოეკრიფა და მარტოს გადაევლო ზღვის დონიდან 2070 მეტრზე აზიდული პუერტო დე ლა ბონაიგუას მთა (ფინიშამდე 19 კილომეტრით ადრე), მერე 600 მეტრით დაბლა დაეშვა და ასევე მარტომ აიარა 6 კილომეტრის სიგრძის ბოლო აღმართი და მანამდე მოპოვებული უპირატესობაც ეყო ბოლომდე. მას ლამის დაეწივნენ, მაგრამ ბოლს ნახევარ წუთით ჩამორჩნენ მთის არწივები — ალეხანდრო ვალვერდე და ალბერტო კონტადორი მესამე ნაკლებცნობილ მრბოლთან ერთად. დიდ თამაშში დარჩნენ 39 წამით ჩამორჩენილი ლევი ლეიფჰეიმერიც და კარლოს სასტრეც.

მონკუტიემ ამ გამარჯვებით გვარიანად წაიწია საერთო ჩათვლაშიც, მაგრამ რაკი მანამდე უმწეოდ დაღოღავდა და ხეირიანი ბევრიც არა გაუკეთებია რა, ახლა მხოლოდ 24-ე საფეხურამდე აიწია (ლიდერთან 11-წუთიანი ჩამორჩენით).

ოქროსფერი მაისურა კი ლეიფჰეიმერს შეხვდა, რომელსაც ასტანელი თანაგუნდელი კონტადორი უმაგრებს ზურგს. მაგრამ მხოლოდ 49 წამით უკან მყოფი ვალვერდეც შეტევაზეა ჩასაფრებული.

რაც შეეხება კარლოს სასტრეს, ის ახლა მეოთხეზეა და შანსიც აქვს, გამარჯვებაზე გაიწიოს, მაგრამ, როგორც ჩანს, ტურ დე ფრანსის ჩემპიონობამ ამბიციები დაუცხრო და დუბლის სურვილით არ იწვის. ამბობს, ვუელტა იქნებ აღარც ჩავამთავრო, მე ხომ ასტურის რბოლისთვის ვემზადებიო.

**ირაკლი ფირაშვილი**

### მე-8 ეტაპი. ანდორა — პლა დე ბერეტი. 151 კმ

| | |
|---|---|
| 1. დევიდ მონკუტიე (საფრანგეთი, „კოფიდისი") | 4 სთ 24 წთ 03 წმ |
| 2. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი") | +34 წმ |
| 3. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა") | +34 წმ |
| 4. იგორ ანტონ ერნანდესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | +34 წმ |
| 5. ხოაკინ როდრიგესი (ესპანეთი, „ხასობეო გალისია") | +39 წმ |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ლევი ლეიფჰეიმერი (აშშ, „ასტანა") | 28 სთ 20 წთ 03 წმ |
| 2. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა") | +21 წმ |
| 3. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი") | +49 წმ |
| 4. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +1 წთ 27 წმ |
| 5. ეზეკილ მოსკერა (ესპანეთი, „ხასობეო გალისია") | +1 წთ 59 წმ |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა